# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 22 იანვარი 2007 №12 (2935) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თანამეგობრობა თანასკანდალით

### სიონმა მსაჯობა და საქმე გაარჩია

მოსკოვში დაწყებული თანამეგობრობის თასის პირველივე დღე სკანდალით გამოირჩა — მსაჯებისგან დაჩაგრულმა ბოლნისის „სიონმა“ და ტურნირის ორგანიზატორებმა მთელი ღამე საქმის გარჩევაში გაათეთრეს და ქვემოქართლელებისთვის თბილისიდან რომ ერჩიათ დარჩენა, დღეს „სიონი“ უკვე შინ იქნებოდა.

დიახ, ლიტვურ „კაუნასთან“ 1:2 წაგების მერე „სიონი“ ტურნირის დატოვებით იმუქრებოდა და ცოტალა დააკლდა მუქარის ასრულებამდე.

ეს მოკლედ, „სიონის“ მოსკოვურ თავგადასავლებს კი მეორე გვერდზე წაიკითხავთ...

## მელბურნმა ლეს-ბოსი დაკარგა



ლუსი შაფაროვა და ტომაშ ბერდიხი

„მელბურნ-პარკის“ კორტებზე მიმდინარე სეზონის პირველმა სლემტურნირმა ეკვატორი გადალახა და სენსაციებმაც იმატა. გუშინ ერთბაშად სამმა ბობოლა რუსქალმა წააგო — სხვა დროს იქნებ სვეტლანა კუზნეცოვასა თუ ელენა დემენტიევას მარცხი დღის თემად ქცეულიყო, მაგრამ არა ამჯერად, რადგანაც ტურნირს შარშანდელი გამარჯვებული ამელი მორესმო გამოაკლდა.

ცნობილი ფრანგი ლესბოსელი წლეულსაც პირველობას გეგმავდა, მაგრამ მეოთხე წრეს ვერ გაცდა და უცნობ ჩეხთან ლუსი შაფაროვასთან უიმედოდ, 4:6 3:6 დამარცხდა.

შაფაროვას კი, ვისაც აქამდე სლემტურნირებზე ერთადერთი მატჩი მოეგო, გუშინ სიხარულის ორმაგი მიზეზი ჰქონდა — მისმა ბოიფრენდმა ტომაშ ბერდიხმა 6:2 6:1 6:1 გაანადგურა რუსი დმიტრი ტურსუნოვი და შეყვარებულებმა წყვილად გააღწიეს მომდევნო წრეში.

# გოგუამ ჰართსი და მომავალი გაარკვია

## ექვსთვიანი კონტრაქტი ხვალ იქნება



გოგიტა გოგუას შოტლანდიურ „ჰართსში“ გადასვლის საქმე შეგვიძლია, უკვე მოგვარებულად ჩავთვალოთ. დღეს ის მოსკოვიდან ედინბურგში „ჰართსის“ ლიტველ მწვრთნელ ვალდას ივანაუსკასთან ერთად გაემგზავრება და, თუ ქვეყანა არ დაიქცა, ხვალ კლუბთან ექვსთვიან კონტრაქტს გააფორმებს.

ეს ტრანსფერი ორიოდ დღის წინ ჩაშლის პირას იყო. ქართველ ფეხბურთელს „ჰართსში“ გადასვლას მისი სატრანსფერო უფლებების განმკარგავი რუსი ანდრეი ჩერვიჩენკო არ ანებებდა და ამის გამო ფიფაში ჩივილითაც იმუქრებოდა. საბოლოოდ საქმეში „ჰართსის“ ხელმძღვანელობა და ის აგენტები ჩაერივნენ, რომლებმაც გოგუა შოტლანდიაში წაიყვანეს. მათ ჩერვიჩენკოს დასაყოლიებლად ორ-სამდღიანი მოლაპარაკება დასჭირდათ. სავარაუდოდ, რუსს შეპირებულზე მეტი თანხა შესთავაზეს და ჩერვიჩენკოც დათანხმდა. თუმცა იქამდე თავად გოგუასაც კი მოუხდა ედინბურგიდან მოსკოვში ჩასვლა.

— ყველაფერი მოგვარებულია, შოტლანდიაში ორშაბათს გავემგზავრები და იქვე დავრჩები — გვითხრა გოგიტა გოგუამ, რომელიც მოსკოვში თანამეგობრობის ტურნირის მატჩებსაც დაესწრო — ედინბურგში უკვე გამზადებული კონტრაქტი მელის. „ჰართსში“ სეზონის ბოლომდე ვითამაშებ, თუმცა, შესაძლოა, კონტრაქტი გავაგრძელო.

— ჩერვიჩენკო შენკენ კი შემობრუნებულა, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ „ჰართსი“ პირობებს აღარ შეცვლის?

— დიახ, დარწმუნებული ვარ. „ჰართსის“ მწვრთნელი ახლა მოსკოვშია და ედინბურგში ერთად მივემგზავრებით. როგორც ვატყობ, ივანაუსკასს ჩემი დიდი იმედი აქვს.

— კონტრაქტი თუ ახლავე გააფორმე, მომავალ ტურში ითამაშებ?

— თამაშის უფლება მექნება, მაგრამ პირველივე შეხვედრაში ძირითადში თუ ვიქნები, ვერ გეტყვით. რუსული სეზონის დასრულების შემდეგ, ფაქტობრივად, ორი თვეა, არ მითამაშია და ჯერ სათანადო ფორმაშიც არ ვარ. თანაც „ჰართსი“ უახლოეს ტურში „რეინჯერსს“ ეთამაშება და მეეჭვება, ასეთ მნიშვნელოვან მატჩში ახალი ფეხბურთელი ძირითადში დამაყენონ. თუმცა, ალბათ, სამატჩო განაცხადში მაინც ვიქნები.

— „ჰართსში“ რამდენიმე ვარჯიში უკვე ჩაატარე. მომავალი თანაგუნდელები გაიცანი?

— არა, „ჰართსში“ არ მივარჯიშია, ამის უფლება არ მქონდა. ისე კი, გუნდთან ვიყავი და რამდენიმე ფეხბურთელი გავიცანი.

— გავიგეთ, ედინბურგში პირველად ჩასვლისას ბარგი დაგიკარგავს...

— ასე იყო, ბარგი დაიკარგა და ერთი ხელი სამოსითლა დავრჩი. ავიაკომპანიამ კომპენსაცია შემომთავაზა, მაგრამ იმ ჩანთებს ველარ დამიბრუნებენ...

— რაკი „ჰართსში“ შენი გადასვლა უკვე გადაწყვეტილია, გვითხარი, სხვა რომელი გუნდები გეპატიჟებოდნენ...

— ყველაზე რეალური ისევ რუსეთში დარჩენა იყო — „სატურნი“, „ტომი“ და „ლოკომოტივი“ აქტიურობდნენ, ნალჩიკიდანაც ლამის ყოველდღე მირეკავდნენ, მაგრამ, მგონი, ჩემი კარიერისთვის სწორი გადაწყვეტილება მივიღე და „ჰართსში“ თამაში ვამჯობინე. ასე, ალბათ უფრო მოვუმატებ და მაღალ დონეზე ვითამაშებ.

ძოგბა ინასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზესტაფონის აზერფრე

## იმერლებმა სიმურგთან თბილისში იამხანაგეს



ზურაბ იონანიძე

**მოსამზადებელი** ეტაპის პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა „ზესტაფონმა". იმერელთა მეტოქე საქართველოში შეკრებაზე მყოფი აზერბაიჯანული „სიმურგი" გახლდათ და შეხვედრა 1:1 დასრულდა.

პირველ ტაიმში ფეროელები ზურაბ იონანიძის გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და მეორე ტაიმის დასაწყისში აზერბაიჯანელებმა ანგარიში გაათანაბრეს.

„ზესტაფონმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

*გ. ჭანტურია, ს. თოდუა, სანტოსი, ე. საჯაია, ქ. ჩხეტიანი, რ. ონიანი, გ. ჭელიძე, გ. თურმანიძე (გ. გოცირიძე 70), პარამონოვი (გ. ნოზაძე 52), ვიეირა, იონანიძე.*

მორიგ საკონტროლო მატჩს „ზესტაფონი" კიდევ ერთ აზერბაიჯანულ კლუბთან — „შახდაგთან" გამართავს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ვიტელთა ორი სეტი: 3:1. 3:2

**შეკრების** პირველ ეტაპს ასრულებს თბილისის „ვიტ ჯორჯია".

პარასკევს და შაბათს ვეტერინარებმა ორი ტესტ-მატჩი გამართეს — სოხუმის „ცხუმს" გიორგი ბერიაშვილის, გიორგი დათუნაიშვილის და ალექსი კაიშაურის გოლებით 3:1 მოუგეს, თანაქალაქელ „ნორჩ დინამოელს" კი ვასილ ლუჭაშვილის, ლუკა რაზმაძის და ირაკლი კიკნაძის გოლებით 3:2 აჯობეს.

**ლუკა თალაკვაძე**

# ბათუმის ახლები და იმედები

**„ბათუმს"** სტადიონი კი დაუნგრიეს, მაგრამ სულ მთლადაც არ „გაუწირავთ" და სათამაშოდ ადელის მოედანი დაუთმეს — გუნდი მეორე წრისთვის იქ ემზადება.

უჩა ლობჟანიძის, კახა ებრალიძის და კობა შალამბერიძის „ბათუმში" გადასვლა კარგა ხნის გადაწყვეტილი ამბავია, თუმცა გუნდი მარტო ამ სამეულს არ დასჯერდა და გასასინჯად კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს უხმო. როგორც შევიტყვეთ, „ბათუმში" ვარჯიშობენ ბარამიძე, აფშილავა, კვარაცხელია, დარჩიძე, ჩარგეიშვილი, კერესელიძე და მეკარე გეგეშიძე.

და ერთიც: ჯერჯერობით, ისევ გაურკვეველია გუნდის ფინანსური მდგომარეობა, თუმცა ბათუმელებს იმედი აქვთ, რომ ეს პრობლემა დღედღეზე მოგვარდება და მეორე წრისთვის ხელწამოსაკრავი გუნდი არ იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გამოცდილ ცნობილებს დილაში არ სცნობენ

**გუშინ** გორის „დილა" თბილისს ესტუმრა და დიღმის საწვრთნელ ბაზაზე თბილისის „დინამო 2-ს" ამხანაგურად გაეჯიბრა.

მატჩი გორელთა გამარჯვებით დასრულდა — 2:0. გოლები კი გიორგი ვარდოსანიძემ (პენალტით) და ილია ლომიძემ გაიტანეს.

„დილას" შემადგენლობაში რამდენიმე ახალი მოთამაშის გამოჩენას ველოდით, მაგრამ ამაოდ — გორელები ახალგაზრდული გუნდით ეთამაშნენ პატარა დინამოელებს.

„დილა" მეორე წრისთვის ფინანსურად მომძლავრდა და სერიოზულ ცვლილებებზეც ფიქრობს, ამიტომ თბილისში ასეთი შემადგენლობით სტუმრობამ, ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა და კომენტარი გუნდის მთავარ მწვრთნელ მამუკა ვარდოსანიძეს ვთხოვეთ...

„ძალიან გვინდოდა რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელით გაძლიერება, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვათ, მათ ჩვენი მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს და გუნდში აყვანაზე უარი განვაცხადეთ. თუმცა ძიება არ შეგვიწყვეტია — ვეცდებით, ისეთი მოთამაშეები ვნახოთ, რომლებიც „დილას" წაადგებიან. ამ ეტაპზე კი მხოლოდ ადგილობრივი ფეხბურთელებით გავდივართ ფონს. „დინამო 2"-თან ორი დინამოელი, ტორონჯაძე და ლომაშვილი ვათამაშეთ და, სავარაუდოდ, მათ დავიტოვებთ კიდეც. თვის ბოლომდე ორი ამხანაგური შეხვედრის გამართვას ვაპირებთ — აზერბაიჯანულ „შახდაგთან" და რუსთავის „ოლიმპთან". ფეხბურთელთა გარკვეული ნაწილი ამ შეხვედრებშიც გამოიცდება და გუნდის დაკომპლექტებაზე მერე ვისაუბრებთ."

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ესენგე სკანდალს გადაურჩა

## სიონი მოსკოვში თბილისმა დატოვა

**შესაძლო** იყო, შაბათს მოსკოვში დაწყებული თანამეგობრობის ჩემპიონთა ტურნირი პირველივე მატჩის შემდეგ საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის „სიონს" სკანდალით დაეტოვებინა.

„სიონი" — „კაუნასის" შეხვედრას, რომელიც ლიტველებმა 2:1 მოიგეს, დიდი აყალ-მაყალი მოჰყვა, ჩვენები და დარბაზში შეკრებილნი მსაჯობით აღშფოთდნენ და ლამის მოედანზევე დაიწყო საქმის გარჩევა, გასახდელებთან კი ამბავი ყოფილა, ნუ იტყვით...

ჯერ იყო და, უზბეკ არბიტრ რაშიდ ირმატოვს მცირე-მცირე საჯარიმოებით და უხეში შეცდომებით თამაში „კაუნასის" სასარგებლოდ წაუყვანია, მეორე ტაიმის დასაწყისშივე გიორგი ონიანი გაუძევებია, თამაში 10 წუთით გაუგრძელებია და ბოლოს ლიტველთათვის საჩუქარიც მიურთმევია — სწორედ წამატებული დროის მერვემეცხრე წუთზე გაიტანა „კაუნასმა" გამარჯვების გოლი.

ამ შეხვედრის პირველი გოლიც „კაუნასისა" იყო, მე-20 წუთზე გუნდი პეხლიჩმა დააწინაურა, თუმცა ლევან სილაგაძემ ტაიმის ბოლოს გაათანაბრა. მერე კი ის ამბები მოხდა, რაზეც უკვე ვთქვით.

ბოლნისელები ტურნირის დატოვებას აპირებდნენ, ორგანიზატორებსა და კლუბის ხელმძღვანელთა შორის მთელი ღამე ირჩეოდა საქმე, რაც საბოლოოდ თბილისში დარეკვით და შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ „სიონის" მოსკოვში დარჩენით დამთავრდა.

ასეთი სკანდალური დასაწყისის მერე ბოლნისელებმა ტურნირის მეორე მატჩი თურქმენეთის მტტუსთან გამართეს და 2:1 მოიგეს. ჩვენებმა ერთი საპასუხო გოლი მეორე ტაიმში მიიღეს, იქამდე კი კამერუნელ ჩასემსა და ვიტალი დარასელიას ორჯერ გაეტანათ.

მოკლედ, ორი ტურის შემდეგ ბოლნისის „სიონს" სამი ქულა აქვს, სამქულიანია ლიტვური „კაუნასიც", სერბული ოფკ კი ექვსი ქულით ჯგუფის ლიდერია. მესამე ტურში „სიონი" სწორედ ოფკ-ს ეთამაშება და მეოთხედფინალში გასასვლელად სერბების ორბურთიანი სხვაობით დამარცხება მართებს. ეს შეხვედრა სამშაბათს შედგება.

...ბოლნისელების გარდა ესენგეს ტურნირზე სხვადასხვა გუნდებში რამდენიმე ქართველიც თამაშობს და ამ ორ დღეში ისინი გოლებითაც გამოირჩნენ. კერძოდ, მოლდოვური „შერიფის" მცველმა ვაჟა თარხნიშვილმა აზერბაიჯანულ „ბაკის" და ესტონურ „ლევადიას" გაუტანა თითო გოლი. „ბაკის" ახალწვეულმა ამირან მუჯირმა „შერიფს", ხოლო ალექსანდრე გოგობერიშვილმა „ბაკი" ყირგიზულ „დინამო-დორდოისთან" მატჩში დააწინაურა.

**ლუკა თალაკვაძე**

### A ჯგუფი

20 იანვარი

**ცსკა (რუსეთი) 1:1 აქტობე (ყაზახეთი)**

1:0 პრავოსუდი (6), 1:1 სობოლევი (76)

**ბატე (ბელარუსი) 2:0 რეგარ-ტადაზი (ტაჯიკეთი)**

1:0, 2:0 როდიონოვი (37, 49)

21 იანვარი

**ცსკა (რუსეთი) 2:0 ბატე (ბელარუსი)**

1:0 ტატარჩუკი (67), 2:0 გაგლოევი (75)

**რეგარ-ტადაზი (ტაჯიკეთი) 0:0 აქტობე (ყაზახეთი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბატე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| აქტობე | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| რეგარ-ტადაზი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

### B ჯგუფი

20 იანვარი

**ბაკი (აზერბაიჯანი) 3:4 შერიფი (მოლდოვა)**

0:1 ტიაგო (36), 1:1 მუსაევი (40), 1:2 კუჩუკი (41), 1:3 უოლესი (45), 2:3 მუჯირი (71), 2:4 თარხნიშვილი (783), 3:4 იონესკუ (89)

ბაკი: სისოკო, ამირბეკოვი, ვ. გულიევი (იონესკუ 46), რ. გულიევი, მუსაევი (ფ. გულიევი 87), ა. მუჯირი, გოგობერიშვილი, აბასოვი (ლადაგა 53), მელიკოვი, გომეში, ჰუსეინოვი

შერიფი: მელენჩუკი, მამახი (ნადსონი 88), გუმენიუკი (ბალიმა 83), უოლესი (დერმე 84), თარხნიშვილი, კორნეენკოვი, კუჩუკი (ალექსეევი 62), არბენაში (ტასემბედო 71), ეპურიანუ, გნანუ, ტიაგო (სუვოროვი 68)

**ლევადია (ესტონეთი) 4:0 დორდოი-დინამო (ყირგიზეთი)**

1:0 ვასილევი (25), 2:0, 3:0 ლეიტანი (29, 37), 4:0 ნაჰკი (73)

21 იანვარი

**შერიფი (მოლდოვა) 3:2 ლევადია (ესტონეთი)**

0:1 ნაჰკი (20), 1:1 გუმენიუკი (22), 1:2 პურიე (36), 2:2 უოლესი (55), 3:2 თარხნიშვილი (61)

შერიფი: პაშჩენკო, მამახი, გუმენიუკი (ბალიმა 53; ალექსეევი 82), უოლესი, თარხნიშვილი, კორნეენკოვი, კუჩუკი, არბენაში (ტასემბედო 63), ეპურიანუ, გნანუ, ტიაგო (სუვოროვი 86)

**ბაკი (აზერბაიჯანი) 2:0 დორდოი-დინამო (ყირგიზეთი)**

1:0 გოგობერიშვილი (77), 2:0 მუსაევი (90)

ბაკი: სისოკო, ლადაგა (ვ. გულიევი 64), ამირბეკოვი, რ. გულიევი, მუსაევი, ა. მუჯირი (აბდულაევი 89), გოგობერიშვილი, იონესკუ (რ. აბასოვი 60), მელიკოვი, გომეში (ა. აბასოვი 85), ჰუსეინოვი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შერიფი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:5 | 6 |
| ლევადია | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| ბაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| დორდოი-დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

### C ჯგუფი

20 იანვარი

**შახტარი (უკრაინა) 2:2 ბანანცი (სომხეთი)**

0:1 აკოფიანი (19), 1:1 გოლოპეროვი (28), 1:2 მელქონიანი (52), 2:2 გოშკოდერია (53)

**ფახთაქორი (უზბეკეთი) 0:2 ვენტსპილსი (ლატვია)**

0:1 ბუტრიკსი (63), 0:2 ნესტეროვი (88)

მსაჯი: ლ. კვარაცხელია (საქართველო)

21 იანვარი

**ფახთაქორი (უზბეკეთი) 3:0 ბანანცი (სომხეთი)**

1:0, 2:0 ჯეფაროვი (4, 8), 3:0 კლეცკოვი (83)

**ვენტსპილსი (ლატვია) 1:1 შახტარი (უკრაინა)**

0:1 მოლდოვანი (35), 1:1 კაჩანოვი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენტსპილსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ფახთაქორი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| შახტარი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ბანანცი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |

### D ჯგუფი

20 იანვარი

**ოფკ (სერბეთი) 2:0 მტტუ (თურქმენეთი)**

1:0 კოლაროვი (22), 2:0 ვესელინოვიჩი (70)

**კაუნასი (ლიტვა) 2:1 სიონი (საქართველო)**

1:0 პეხლიჩი (20), 1:1 სილაგაძე (45), 2:1 გლები (90)

კაუნასი: სტონისი, რაჯუსი, კანჩელსკისი, ბენიუშისი (ლედესმა 46), ა. გლები, გ. კვარაცხელია, სტრახანოვიჩი, პაპეჩკისი (მანჩხავა 9; ივაშკიავიჩუსი 30; რიმკიავიჩუსი 85), ბაგუჟისი, კუნიავიჩუსი, პეხლიჩი (მენდი 66)

სიონი: მამალაძე, კობაური, ლ. ჭელიძე, გ. ონიანი, აფციაური (ოქროპირიძე 51; ა. ალავიძე 83), სილაგაძე, კახელიშვილი, ქებაძე, სეთურიძე, დარასელია, ჩასემი

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: კანჩელსკისი (16), ონიანი (48), ლედესმა (62), ივაშკიავიჩუსი (64), ოქროპირიძე (80)

გაძევება: ონიანი (49)

მსაჯები: რ. ირმატოვი (უზბეკეთი), ვ. ბობიკი, ვ. ენიუტინი (ორივე რუსეთი)

200 მაყურებელი

21 იანვარი

**კაუნასი (ლიტვა) 2:3 ოფკ (სერბეთი)**

1:0 პეხლიჩი (6), 2:0 ლედესმა (14), 2:1 ნუხი (59), 2:2 ვესელინოვიჩი (80), 2:3 ნოვაკოვიჩი (90)

კაუნასი: სტონისი, რაჯუსი, კანჩელსკისი, გ. კვარაცხელია, ლედესმა, კშანავიჩიუსი (სტრახანოვიჩი 67), ბაგუჟისი, ბარტკუსი, კუნიავიჩუსი, ფატახოვი (ა. გლები 57), პეხლიჩი (ივაშკიავიჩუსი 63)

**სიონი (საქართველო) 2:1 მტტუ (თურქმენეთი)**

1:0 ჩასემი (21), 2:0 დარასელია (31), 2:1 შამურადოვი (58)

სიონი: მამალაძე, კობაური, ლ. ჭელიძე (ბაჯელიძე 46), ფრიდოლინი, აფციაური (კვიტაიშვილი 74), სილაგაძე, კახელიშვილი, ქებაძე (ოქროპირიძე 90), დარასელია (ა. ალავიძე 59), სეთურიძე, ჩასემი (ბ. ცხადაძე 85)

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: ო. ბერდიევი (19), ბ. ბერდიევი (33), კობაური (38), კახელიშვილი (63), ალავიძე (77), ბაჯელიძე (90)

გაძევება: ბ. ბერდიევი (33)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოფკ | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| კაუნასი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| მტტუ | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

# გადამთელავი



როგორც უკვე გამცნეთ, გოგიტა გოგუა მაინც გადავა შოტლანდიურ „ჰართსში", რომელსაც ლიტველი ოლიგარქი ვლადიმირ რომანოვი პატრონობს. შოტლანდიური პრესა სერიოზულად დაინტერესდა „ქართველი გატუზოთი" და მის შესახებ საქართველოს ნაკრების და ინგლისური „ბლექბერნის" მცველ ზურაბ ხიზანიშვილსაც დაეკითხა. ზურას დახმარებით შოტლანდიური გამოცემა „სკოტსმენის" ჟურნალისტმა ბარი ანდერსონმა გოგუას საკმაოდ ვრცელი წერილი მიუძღვნა...

## ზურაბ ხიზანიშვილი: გოგიტა გოგუასგან დანდობას ნუ ელით!



„გოგიტა გატუზოსავით თამაშობს. ის მუდამ ბრძოლაშია, უშელავათო მოთამაშეა, რომლისგანაც დანდობას არ უნდა ელოდო და რომელიც ყოველთვის მზადაა, ნებისმიერი ჯანის მეტოქესთან კონტაქტში იყოს" — ამბობს ხიზანიშვილი და ანდერსონს იქვე განუმარტავს, რომ გოგუას ბოლო სატრანსფერო ამბების საქმის კურსშია — „როდესაც შევიტყვე გოგუას „ჰართსში" შესაძლო ტრანსფერის შესახებ, მაშინვე დავურეკე მას და ვურჩიე, ეს შანსი ხელიდან არ გაეშვა. მისი სტილის მოთამაშესთვის შოტლანდიური პრემიერლიგა სწორედ რომ ზედგამოჭრილია. გოგიტა გულიანი მოთამაშეა და „გულებში" გადასვლა მისთვის წარმატებული კარიერის მთავარი ეტაპი უნდა იყოს".

ხიზანიშვილი გოგუას აზასიათებს, როგორც უნივერსალ ფეხბურთელს, ოღონდ აზუსტებს, რომ მისი გამოყენება უფრო დაცვითი ფუნქციებისთვის იქნება სარგებლიანი: „ნაკრებში გოგიტას მარჯვენა მცველადაც უთამაშია და იქაც ისეთივე საიმედო იყო, როგორც მოედნის ცენტრში. ერთადერთი, რასაც გოგიტას აქამდე უწუნებდნენ, ხანდახან ზედმეტად ხისტი თამაშია. გოგიტა ხშირად თამაშობს ყვითელი ბარათის ზღვარზე, რაც ალბათ მისი გამოუცდელობის ბრალია, მაგრამ ნაკრებში უკვე თექვსმეტი მატჩი ითამაშა და რუსულ პრემიერლიგაშიც საკმაო გამოცდილება მიიღო".

შოტლანდიელი ჟურნალისტი გოგუას მოედანსგარეთა ცხოვრებითაც დაინტერესდა...

„ზუსტად აღარ მახსოვს, რომელი მატჩის წინ იყო, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას ჭაბუკი გოგუა, რომელიც, მგონი, თვრამეტი წლისა იყო, ნაკრებში რომ გამოიძახეს. ცოტათი დაბნეული ჩანდა — ის პირდაპირ ქართული კლუბიდან მიიწვიეს ეროვნულ გუნდში მაშინ, როდესაც ნაკრების აბსოლუტური უმეტესობა ლეგიონერები ვართ. გოგიტა ჩემთან ერთად მოხვდა ნომერში და გაცნობისთანავე დავმეგობრდით. მოედანსმიღმა გოგიტა, ერთი ჩვეულებრივი, ხათრიანი ბიჭია, რომლისგანაც ბოროტებას და ინტრიგებს არ უნდა ელოდო. ამიტომ მას უახლოეს მეგობრად მივიჩნევ და თვითონაც ხშირად მირეკავს რჩევისთვის" — ამბობს ზურა.

„სკოტსმენი" ხიზანიშვილის და გოგუას საფეხბურთო კარიერებსაც ადარებს. ბარი ანდერსონი წერს, რომ „ხიზანას" წარმატებული კარიერა სწორედ შოტლანდიიდან დაიწყო, როდესაც ახალგაზრდა ქართველმა მცველმა იტალიელი ივანო ბონეტის მწვრთნელობით „დანდიში" ფანტასტიკური სეზონი გაატარა და გრანდ „გლაზგო რეინჯერსში" ამოყო თავი...

„ჯერჯერობით ეს იყო ხიზანიშვილის საუკეთესო პერიოდი. შეიძლება ითქვას, „ხიზანა", როგორც საიმედო მცველი, სწორედ ბონეტის ხელში ჩამოყალიბდა და საბოლოოდ „რეინჯერსში" გაიხსნა. რომ არა გლაზგოელთა მაშინდელ მწვრთნელ ალექს მაკლიშთან უთანხმოება, ხიზანიშვილი ახლაც „რეინჯერსის" მთავარი ფიგურა იქნებოდა. ერთიცაა, ქართველმა მცველმა თავისი გზა მაინც ნახა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ჩემპიონატში, ინგლისური პრემიერლიგის „ბლექბერნში" დაიმკვიდრა ადგილი" — განმარტავს ჟურნალისტი და იქვეა ხიზანიშვილის კომენტარიც: „შოტლანდიაში გატარებულმა წლებმა ბევრი მომცა. აქ ჩამოვყალიბდი პროფესიონალად და, იმედია, გოგუას შემთხვევაშიც ასე იქნება. დამიჯერეთ, „ჰართსი" მალე დარწმუნდება, რომ გოგუა საუკეთესო შენაძენია ამ კლუბის ისტორიაში. გოგიტა შრომისმოყვარე, თავდაუზოგავი ბიჭია. მას სულ ცოტა აკლია, რათა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს და თავისი სიტყვა თქვას ევროპაში. როგორც ვიცი, მას ბრიტანულ ფეხბურთზე მეტად იტალიური იზიდავს და ბედნიერი ვიქნები, თუ სერია A-შიც გაიბრწყინებს".

და ერთიც: ხიზანიშვილი შოტლანდია — საქართველოს მომავალ ევროშესარჩევ მატჩზეც საუბრობს: „შოტლანდიურ ფეხბურთს ხუთი თითივით ვიცნობ. იმედია, ამ დაპირისპირებამდე გოგუაც აუღებს ალღოს პრემიერლიგას და ჩვენი ძალისძხმევით შოტლანდიის ნაკრებს მოვუგებთ. ოღონდ ერთი თხოვნა მაქვს, ნურც მე და მით უმეტეს, ნურც გოგიტას მატჩის შემდეგ მტრებად ნუ ჩაგვთვლით — ეს ფეხბურთია და თუ გავიმარჯვებთ, მხოლოდ ჩვენი პროფესიონალიზმის „ბრალი" იქნება".

წერილის ბოლოს შოტლანდიელი ჟურნალისტი ვარაუდობს, რომ გოგუას წარმატებული ევროკარიერა სწორედ „ჰართსიდან" დაიწყება: „გოგუა რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო ახალბედად დაასახელეს. მას შეეძლო, რუსეთშივე გაცილებით ძლიერ კლუბში ეთამაშა, ვიდრე ნალჩიკის „სპარტაკია", მაგრამ ჩანს, ქართველ უნივერსალს უფანტაზიო რუსული ფეხბურთი არ აკმაყოფილებს და მეტი სურს. წესით, გოგუა სწორედ შოტლანდიაში უნდა გახდეს ნამდვილი პროფესიონალი. ქართველს ხომ საამისო პოტენციალი აშკარად აქვს და ამაზე ისიც მიუთითებს, რომ საქართველოს ნაკრების სახელოვანი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი გოგუას ნაკრების საკვანძო მოთამაშედ მიიჩნევს".

# საქართველო: დანაკლისი. ტრაბზონსფორი. არაკლისი

**20-25 იანვარს** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები თურქეთში შეკრებას რომ გაივლის და ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს, უკვე გაცნობეთ.

ახლა კი იმას გეტყვით, რომ ჰაინც ტოპმიოლერმა შეკრებაზე სრული შემადგენლობის წაყვანა ვერ მოახერხა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის „ამერი" შეთანხმდნენ, რომ ამ კლუბის ხუთი ფეხბურთელი ნაკრებს არ გაჰყვება. „ამერის" ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ ეტაპზე უმჯობესია, დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია, გიორგი ელბაქიძე, გიორგი ნიკოლაიშვილი და რატი წინამძღვრიშვილი გუნდში დარჩნენ, რადგან ხშირი მოგზაურობა მათ სათანადო მომზადებას შეუშლის ხელს. „ყვითლები" ხომ ახლახან დაბრუნდნენ ანთალიური შეკრებიდან და რამდენიმე დღეში ისევ მიდიან იქ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თურქეთში დაგეგმილი სანაკრებო შეკრება ფიფა-უეფას დღეებს არ ემთხვევა.

მოკლედ, ამერელთა ნაცვლად უფროსმა ტოპმიოლერმა ირაკლი შარანგიას („ზესტაფონი"), რევაზ წულაძეს („ვიტ ჯორჯია"), ნიკო კვასხვაძეს („ზესტაფონი") და გიორგი სალარიძეს („ჩიხურა") უხმო; ზესტაფონელი დავით ჯანელიძე კი ტრავმირებული თანაკლუბელის, გიორგი განუგრავას ნაცვლად იახლა.

დღეს ქართველი 19-წლამდელები „ტრაბზონსფორის" ახალგაზრდულ გუნდს გაეჯიბრებიან, 24-ში კი „არაკლისფორს".

შეგახსენებთ, რომ ევროშესარჩევის ელიტ-რაუნდში საქართველოს ნაკრების მეტოქეები შოტლანდია, პორტუგალია და თურქეთი არიან. ტურნირი მაისში შოტლანდიაში ჩატარდება.

**ქახა შალამბერიძე**

ვილი ახვლედიანის სვეტი

## დასავლეთისკენ

გოგიტა გოგუა, კარგი ქართველი ფეხბურთელი და კარგი ადამიანი, როგორც იქნა, გაცილდა მოყინულ მეორეხარისხოვან მინდვრებს და ედინბურგის „ჰართ ოვ მიდლოთიენში" გადავიდა.

გოგუა გადადიოდა მძიმედ, საქმის ქართული გაუგებრობების კეთებით, გაურკვევლობით და უიმედობით. და მაინც გადავიდა.

ეს ძალიან კარგია, იმიტომ რომ ბოლო ხანია, მთელი ქართული ლეგიონერობა პოსტსაბჭოთა სივრცეში ილექება. ახლა რომ ვთქვათ, „ჰართსი" სიდიადე არ არის, მაგრამ ძალიან კარგია. შარშან საერთოდაც მეორეზე გავიდა სქოთების ლიგაში და საერთოდ, სქოთური კლუბები ტრამპლიანია უფრო სამხრეთისკენ სავლელად.

თანაც, გოგიტას ფეხბურთი ისეთია, რომ მას სქოთურ ლიგაში იოლად შეამჩნევენ.

მოკლედ, კაი რამეა.

თორემ, აბა, გადახედე ჩვენს ლეგიონერებს.

ვინც ადრე იყო შთამბეჭდავი, ისევ ისაა და ეს, ცოტა არ იყოს, სევდისმომგვრელია.

შოთას აღმაფრენამ და კალაძის სტაბილურობამ ჩვენში რაღაც მარადიულობის ელფერი შეიძინა.

ასეთი მარადიულობა კი სინამდვილეში არ არსებობს.

ჩვენთვის ბევრად კარგი იქნებოდა, რომ მალხაზ ასათიანი რომელიმე კარგ დასავლურ კლუბში თამაშობდეს. რა თქმა უნდა, „ლოკომოტივში" მან ბევრი ისწავლა. ბოლოს და ბოლოს ძალიან მაგარი მცველი გახდა, მაგრამ თქვენი არ ვიცი და, მე იმ თამაშების ყურებისას, სადაც ასკა მცველად თამაშობს, ნერვები მეშლება.

უცხოეთში ვერც გაურკვევიათ, მცველია თუ ნახევარმცველი. ჰოდა, აბა, ამ ვითარებაში... განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ გოგუა შოტლანდიაში წავიდა. ერთი სამი-ოთხი ასეთი ტრანსფერი ჩვენს ნაკრებს ძალიან წაადგებოდა. და არა მხოლოდ ნაკრებს. ხშირად, ჩვენი ფეხბურთელები პირველივე ვარიანტს თანხმდებიან, რადგან ოღონდ კი ადამიანური ხელფასი ჰქონდეთ და აღარ დარდობენ...

ეს პირველი ვარიანტი კი ყოფილი საბჭოეთის მეორე და მესამეხარისხოვანი კლუბებია.

ჩვენ კი სხვაგან გვინდა, დასავლეთისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კობიაშვილის კუნთები საშიში არ გამოდგა



ლევან კობიაშვილი ვლადისლავ რადიმოვის წინააღმდეგ

**გელზენკირხენის** „შალკემ“ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“ 2:1 დაამარცხა.

საბედნიეროდ, გერმანელი ექიმების დიაგნოზი გამართლდა და ლევან კობიაშვილის ტრავმა სერიოზული არ გამოდგა — მცირე პროცედურების გავლის შემდეგ „შალკეს“ ქართველ ნახევარმცველს კუნთების ტკივილმა გაუარა და მანაც რუსების წინააღმდეგ სრულად ითამაშა.

ამ მატჩში კობი საყრდენი ნახევარმცველი გახლდათ და ერთხელ გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მცველმა დაუფარა...

ნამატჩევს *ლევან კობიაშვილს* ჟურნალისტები გაესაუბრნენ...

— მატჩის წინ ულამაზესი შოუ მოეწყო. როგორ ფიქრობთ, ასეთმა განწყობამ თამაშზეც მოახდინა გავლენა?

— შეხვედრა ამხანაგური კი იყო, მაგრამ მოედანზე მეგობრობა არ არსებობს. ეს, ჩვენი კლუბების ხელმძღვანელებს აქვთ მეგობრული ურთიერთობა, თორემ ჩვენ, ფეხბურთელებს თამაში და მოგება მოგვეთხოვება. ვფიქრობ, „ზენიტთან“ მატჩი კარგ სამსახურს გაგვიწევს ბუნდესლიგის მეორე წრის სტარტზე.

— ანუ ეს თამაში კომერციულის გარდა საჭიროც იყო „შალკესთვის“?

— რა თქმა უნდა. მართალია, „ზენიტი“ „დორტმუნდი“ არ არის, მაგრამ მოგება ყოველთვის სასიამოვნოა. კარგია, რომ მეორე წრეს კარგ განწყობაზე ვხვდებით.

— ამიერიდან ახალი ფორმებით ითამაშებთ...

— კარგი ფორმაა, მე ძალიან მომწონს. მთავარი კი ის არის, რომ „გაზპრომთან“ შეთანხმებით „შალკეს“ ფინანსური პრობლემები აღარ შეაწუხებს.

# საქართველომ მალტა გაიჯახუნა

**საქართველოს** ფუტსალის ნაკრებმა ევროშესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩში მასპინძელ მალტას 5:2 მოუგო და ასე დაემშვიდობა ჯგუფიდან გასვლაზე ფიქრს.

დავით სოლოღაშვილის გუნდმა პირველ ორ ტურში ყაზახეთთან და კვიპროსთან ერთნაირი ანგარიშით, 1:4 წააგო და მალტასთან მოგებაც პრაქტიკულად აღარაფერს წყვეტდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყაზახეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 23:4 | 9 |
| კვიპროსი | 3 | 2 | 0 | 1 | 14:8 | 6 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 7:10 | 3 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:25 | 0 |

# გაგრამ უქმეებზე ათი კაცით ითამაშა

**კიევში,** იქაური „დინამოს“ ყოფილი მეკარე მაკაროვის ხსოვნის ტურნირზე ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის პირველლიგელმა „გაგრამ“ ამ უქმეებზე ორი მატჩი ითამაშა — უკრაინის პირველი ლიგის კიევის ცსკა-სთან 1:2 წააგო (გოლი ზვიად მეტრეველმა გაიტანა), მერე კი კიევის „დინამოს“ იმ გუნდთან დამარცხდა 0:5, რომელშიც კლუბის მიერ ტრანსფერზე დაყენებული და სხვა გუნდებიდან დაბრუნებული ფეხბურთელები თამაშობენ. მათ შორის, კახა ალადაშვილიც, ვინც „გაგრასთან“ ტაიმნახევარი დაყო მოედანზე.

ორივე მატჩში „გაგრას“ პირველივე ტაიმში ერთი და იგივე ფეხბურთელი გაუძევეს — მარჯვენა მცველი ნოდარ მგალობლიშვილი. „გაგრაში“ გვითხრეს, მგალობლიშვილი გასაძევებელი არც ერთ მატჩში არ იყო და სანამ კაცნაკლულები არ დავრჩებოდით, თამაში კარგად მიგვდიოდაო.

შეგახსენებთ, ტურნირის პირველ ორ შეხვედრაში „გაგრამ“ ერთი წააგო (0:1 კიევის „დინამოს“ მესამე გუნდთან) და ერთიც მოიგო (6:0 კიევის „დინამოს“ ინტერნატთან).

ბოლო შეხვედრას „გაგრა“ ხვალ გამართავს კიევის „დინამოს“ ახალგაზრდულ გუნდთან, თუმც ექვსგუნდა ჯგუფიდან გასვლის შანსი პრაქტიკულად აღარ შერჩა.

**ნიკა ჯორჯაძე**



კახა ალადაშვილი

# თითქმის სკონტოელი

## გეწაძემ ჟურნალისტებს ეს ათქმევინა

**გუშინ** რიგის „სკონტო“ თურქეთში ათდღიან შეკრებაზე გაემგზავრა და თან სამი ქართველი იახლა — ზაალ ელიავა, დავით გამეზარდაშვილი და რევაზ გეწაძე.

წასვლამდე კი „სკონტომ“ ერთი ამხანაგური მატჩიც გამართა და „დინაბურგი“ 1:0 დაამარცხა. ამ მატჩში არ უთამაშია ახალგამოჯანმრთელებულ ელიავას, გამეზარდაშვილი და გეწაძე კი სრულად გაისარჯნენ.

ლატვიური სააგენტოების ცნობით, ძალიან აქტიური ყოფილა გეწაძე, ვისაც ორჯერ გოლის გატანის რეალური შანსიც ჰქონია — ქართველი ნახევარმცველი ჟურნალისტებმა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

აქვე ვთქვათ, რომ ორწლიანი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა „დინაბურგში“ თამაზ პერტიამ — 62-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

**კახა შალამბერიძე**

# ვენტსპილსის უცხო ქართველი

**ლატვიის** ჩემპიონმა „ვენტსპილსმა“ „თანამეგობრობის“ თასის განაცხადში ერთი ახალწვეული შეიყვანა — ლევან ჯორკავა, რომელზეც ლატვიური სააგენტოები ბევრს ვერაფერს ამბობენ.

ვინ არის ლევან ჯორკავა, ვერც ჩვენ გავარკვიეთ. დავადგინეთ მხოლოდ ის, რომ იგი ნახევარმცველია და „ვენტსპილსში“ ათნომრიანი მაისურით ითამაშებს.

**კახა შალამბერიძე**



# დემეტრაძის პასუხი: რატომ ხდება ასე?

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელ გიორგი დემეტრაძეს დონეცკის „მეტალურგში“ დაბრუნება ისეთი ვერ გამოუვიდა, როგორსაც ფიქრობდა, თუმცა დონეცკში დღემდე ძალიან პოპულარულია. სხვა თუ არაფერი, დემეტრაძე 34 გოლით „მეტალურგის“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია.

დემე უკრაინული გაზეთების ხშირი რესპონდენტია და ახლაც, როცა დონბასური გუნდი შეკრებაზეა, ჟურნალისტებმა სასაუბროდ ქართველი ფეხბურთელი გამოარჩიეს...

— პირველი წრის შედეგს როგორ შეაფასებდით?

— სეზონის წინ გუნდში ახალი მწვრთნელი მოვიდა, შემოგვემატნენ ფეხბურთელებიც, რომლებმაც ადაპტაცია ვერ მოასწრეს. აშკარად ჩანდა, რომ გუნდი შეუთამაშებელი იყო და ამის გამო დავკარგეთ ქულები.

— პირველ წრეში მხოლოდ ორი ბურთი გაიტანეთ, რაც გულშემატკივრების აზრით, ძალიან ცოტაა. ეთანხმებით ამას?

— რა თქმა უნდა. მაკმაყოფილებს ეს შედეგი? რა არის მიზეზი? აი, კითხვები, რომლებიც მაწუხებს და პასუხებს ვეძებ.

— შვებულება როგორ გაატარეთ?

— ჯერ კიევში ჩაველი. იქ სახლი მაქვს, შემდეგ კი მილანში ჩემს მეგობარ კახა კალაძესთან ვიყავი სტუმრად. დავისვენე, ფეხბურთის საყურებლადაც დავდიოდი — „სან სიროზე“ სერია A-ს თამაშების ნახვა დიდი სიამოვნებაა. თანაც მე იქ მარტო არ ვყოფილვარ, ჩემ გარდა, კახას ალექსანდრე იაშვილი, არჩილ არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი სტუმრობდნენ. კარგი დასვენება გამოგვივიდა, შემდეგ კახასაც მოუწია შვებულებამ და ყველანი ერთად თბილისში გავფრინდით, ახალ წელს იქ შევხვდით. ამასობაში შვებულებაც დამთავრდა და დონეცკში დავბრუნდი.

— და აქ შეიტყვეთ, რომ „მეტალურგის“ ახალი მწვრთნელი კო ადრიანსეა?

— არა. ეს ამბავი ჯერ კიდევ დეკემბერში ვიცოდი. ადრიანსე ევროპაში ცნობილი სპეციალისტია. მასთან ერთად შევძლია, კარგად ვითამაშოთ და ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდეთ.

— რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მასთან მუშაობისას?

— აკი გითხარით, ადრიანსე ცნობილი სპეციალისტია, მაგრამ ჯერ ძალიან ცოტა დრო გვქონდა სამუშაოდ. იმის თქმა კი შემიძლია, რომ მან გუნდში განსაკუთრებული დისციპლინა მოიტანა, რაც ყოველთვის მისაღებია.

— მაინც რაზე აკეთებს აქცენტს?

— წინა მწვრთნელებისგან განსხვავებით, ადრიანსე უფრო მეტს გვამუშავებს ბურთთან. ფეხბურთელის გარდა, ასეთი რამ სულში არავის უზის... ადრე ასე არ იყო — გაუთავებელი სირბილი, მხოლოდ ფიზიკური მომზადება... ჩვენ, პირველ რიგში, ფეხბურთელები ვართ... ახლა გაცილებით ხანგრძლივი, მაგრამ საინტერესო ვარჯიშები გვაქვს.

— ძალიან ბევრი ცნობილი ფეხბურთელი გინახავთ, ბევრის წინააღმდეგ გითამაშიათ კიდეც. თქვენი აზრით, „მეტალურგში“ ახლა როგორი კონტინგენტია?

— გუნდში ბევრი კვალიფიციური ფეხბურთელია, უმეტესობას ძლიერ ჩემპიონატებშიც უთამაშია. მერწმუნეთ, ჩვენს სიტყვას კიდევ ვიტყვით.

— ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?

— ხარკოვის „მეტალისტს“, რომელიც რვა ქულით გვისწრებს, ეს კი ცოტა არ არის. თუმც შანსს ის გვაძლევს, რომ მათ შინ ვეთამაშებით, დანარჩენი სხვაობა კი ბრძოლით უნდა დავძლიოთ. ვფიქრობ, მესამე ადგილი ვერსად გაგვექცევა.

## საქართველოს ჩემპიონატი ბათუმი. 19-22 იანვარი

# მთავარი დღეს არის: კურტანიძე VS გოგშელიძე

## კლასიკური გაქცევა ბათუმიდან



მძიმე წონის თავისუფალთა ფინალში დავით მოძმანაშვილმა (მარცხნივ) ალექსანდრე მოდებაძე დაამარცხა

ოთარ მაღლაკელიძე ბათუმიდან

ბათუმური ჭიდაობის კლასიკური ნაწილი შაბათს, დარჩენილი სამი წონით დასრულდა. გუშინ ხალიჩაზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეები შევიდნენ და სანახევროდ საქმე მათაც მოამთავრეს. დღეს კი ჩემპიონატის ბოლო დღეა და იგი გამორჩეულად დაძაბული იქნება. პარასკევიდან მოყოლებული, ყველა გიორგი გოგშელიძისა და ლუკა კურტანიძის მოსალოდნელ ფინალზე საუბრობს. მსოფლიოს ორი ჩემპიონი საქართველოს ნაკრების საევროპო განაცხადში მოსახვედრად იბრძოლებს. მაყურებელი კოხტა ბათუმურ დარბაზს არ აკლია. ჩემპიონატის შერკინებად მონათლულ შეხვედრას კი გვეეჭვება, ყველა მსურველმა ცოცხლად მიადევნოს თვალი. დღესვე 60 და 74-კილოგრამიანი თავისუფალი სტილის მოჭიდავეებიც გაარკვევენ უძლიერესს. 74-ში ერთ საინტერესო სიახლესაც ველით. საქართველოს ნაკრების წევრი ოთარ თუშურაშვილი ძალას მშობლიურზე ერთი წონითი კატეგორიით მაღლა ცდის. ამ წონაში ნაკრების პირველ ნომრად აქამდე გელა სალირაშვილი ითვლებოდა და გუშინ თუშიშვილის გადაწყვეტილებაზე რომ ვკითხეთ, ხუმრობით გვიპასუხა, ერთი დღე მაცალეთ და ისევ თავის წონაში დავაბრუნებო. ახლა კი უკვე ჩაჭიდავებულ უქმეებზეც ვთქვათ. ბერძნულ-რომაული წერტილი რამაზ ნოზაძემ (96 კგ) დასვა. წონის უდავო ლიდერი ოქროს მედლამდე ისე მივიდა, სანერვიულო არ გაუჩენია. ოლიმპიური პრიზიორი ფინალში აჭარელ გელა ჩხაიძეს დაეჭიდა და ორ პერიოდში წმინდად გაიმარჯვა. ამ შეხვედრაში ტრიბუნები, რა თქმა უნდა, ჩხაიძეს უჭერდნენ მხარს, თუმცა ნოზაძის შესრულებულ თითოეულ ილეთსაც ოვაციებით ხვდებოდნენ. დაჯილდოების შემდეგ კი რამაზი მასთან ერთად სურათის გადაღების მსურველთა ისეთ ალყაში მოექცა, გარეთ გამოსაქცევად ერთ საათზე მეტი დასჭირდა. ამავე წონის კვარცხლბეკზე თბილისელი გივი მორჩილაძე და ბაღდათელი სოსო ჯაბაძეც ავიდნენ.

60 და 74 კილოგრამ წონით კატეგორიებში შიდა კონკურენციამ პირველი ნომრების, დავით ბედინაძისა და მანუჩარ კვირკველიას გარეშე ჩაიარა. ეს ორნი სეზონს 27-28 იანვრის პარიზული საერთაშორისო ტურნირით გახსნიან. ბედინაძის წონაში ბორჯომელმა რევაზ ლაშხმა იჩემპიონა. მისგან ოქროს ბევრი არც ელოდა. ახალგაზრდებს შორის ევროპის პრიზიორი აქამდე უმსუბუქეს წონაში ჭიდაობდა და ბათუმური პირველობა მისთვის 60 კილოგრამში პირველი ნაბიჯი იყო. ფინალში მან თბილისელ ტარიელ ებრალიძეს მოუგო. ტრიბუნების ფავორიტები გოდერძი დავითაძე და თბილისელი ლაშა ლოლაშვილი კი მესამეზე გავიდნენ. 74-ში ყველას გარდაბნელმა შმაგი სახლთხუციშვილმა აჯობა, რითაც ოქროსთან ერთად პარიზის ტურნირის საგზურიც დაიმსახურა. საფრანგეთში წასვლა ლაშხმაც გაინაღდა.

ჩემპიონატის შედეგების შესაფასებლად ნაკრების თავკაცის ბეგი დარჩიას ვერაფრით ველარ მოვახერხეთ. მისი გუნდი პარიზში ზეგ მიემგზავრება და კლასიკოსებმა აჭარა ასე სწრაფად ამიტომ დატოვეს.

თავისუფალი სტილის ოთხი წონიდან ორში კვარცხლბეკზე ნაკრების ლიდერები არ ასულან. ოთარ თუშიშვილის (66 კგ) შესახებ ზემოთაც ვთქვით, რევაზ მინდორაშვილს (84 კგ) კი საერთოდ არ უჭიდავია. როგორც მოგვიანებით ეროვნული გუნდის თავკაც ზაზა თურმანიძისგან შევიტყვეთ, მსოფლიოს ექსჩემპიონი პეკინის ოლიმპიადისთვის ინდივიდუალური გრაფიკით მომზადებას აპირებს და საქართველოს ჩემპიონატიდან დასვენებაც თავად უთხოვია. მინდორა სავარაუდოდ მომავალ ევროპის ჩემპიონატსაც გამოტოვებს. ნაკრებში დასაბრუნებლად კი ზაფხულში, ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე გამოვა. ამ წონაში ევროსაგზურთან ყველაზე ახლოს თბილისელი ლერი ქეთიშვილი დგას. მან ჯერ კიდევ შარშანდელ ბალავაძეზე დაამტკიცა თავისი ძალა, გუშინ კი საქართველოს ჩემპიონატშიც იჩემპიონა. არადა ფინალი ქეთიშვილისთვის ცუდი სცენარით დაიწყო. ნულოვანი პირველი რაუნდის შემდეგ მონეტა მისი მეტოქის ნიკო გაგნიძის ფერზე დავარდა და მანაც შანსი გამოიყენა. მომდევნო ორ რაუნდში ქეთიშვილმა საქმე ძირითად დროშივე მოამთავრა.

66 კილოგრამში აჭარული ფინალი ვიხილეთ. გადაჭედილი ტრიბუნების მხურვალე მხარდაჭერით ძალამომატებულმა კობა კაკალაძემ და ჯონი ჯიშკარაძემ ლამაზი ჭიდაობითაც ასიამოვნეს მაყურებელი. გადამწყვეტი ბრძოლაც დაძაბული გამოდგა და ახალგაზრდა ევროპრიზიორის, კაკალაძის გამარჯვებით დასრულდა. ამ ორთან ერთად მედლები გორელმა მნაცაკან არუთინიანმა და აფხაზეთის სახელით მოჭიდავე მალხაზ ზარქუამ მოიპოვეს.

უმსუბუქეს წონაში საქართველოს ნაკრების წევრი ბესიკ გუჩაშვილი გაჩემპიონდა. ფინალამდე ისე მივიდა, მავანმა ფოტორეპორტიორმა სერიოზულად დაიჩივლა, მაგის სურათის გადაღება ერთხელაც ვერ მოვასწარიო. ბესომ ოქროს ბრძოლაშიც ადვილად მოიგო, ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონ გიორგი ედიშერაშვილთან. მართალია წმინდა გამარჯვება არ მოუპოვებია, მაგრამ საქმე ორ რაუნდში მოამთავრა. მესამე ადგილზე გორელი ამირან ელბაქიძე და თბილისელი ლევან მეტრეველი გავიდნენ. ყველაზე შთამბეჭდავი მაინც მძიმეწონოსან დავით მოძმანაშვილის ტრიუმფი იყო. ბრწყინვალე აღნაგობის ეს 21 წლის ბიჭი აქამდე 96 კილოგრამში ჭიდაობდა და ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მედლებიც მოუპოვებია. გუშინ კი საქართველოს ჩემპიონატზე მძიმე წონაში პირველად იჭიდავა და ოქროს დებიუტიც მოიწყო. დავითი და ნაკრების გამოცდილი წევრი ალექსი მოდებაძე კენჭისყრამ სხვადასხვა ბადეებში მოახვედრა და ერთმანეთს ფინალამდე აარიდა. ორივემ შშვენივრად იჭიდავა. ნახევარფინალში ორივემ მომავალი ბრინჯაოსანი ჩამოიცილა. მოდებაძემ ახალგაზრდა გიორგი ნიკურაძეს მოუგო, ხოლო მოძმანაშვილმა დავით ოთარაშვილს.

ოქროს ბრძოლა 2 რაუნდში დასრულდა. პირველში მოძმანაშვილმა მომგებიანი ქულა მონეტის დახმარებით აიღო, მეორეში კი საჩემპიონო ქულა სირენამდე რამდენიმე წამით ადრე მიითვალა.

დავით მოძმანაშვილის ჩემპიონობა ჩემთვის მოულოდნელი არანაირად არ იყო, გვითხრა ზაზა თურმანიძემ — ამ ბიჭის შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვიყავი, მძიმე წონაში პირველსავე ტურნირზე ფავორიტებში გაერეოდა. მიხარია, რომ შიდა კონკურენცია გაიზარდა. ეს პირველ რიგში ჩვენს ნაკრებს უნდა წაადგეს სასიკეთოდ. ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელს კი ჯერ ვერც ამ წონაში დავასახელებ და ვერც სხვებში. იქამდე საერთაშორისო ტურნირებია და კანდიდატებს კიდევ უფრო უკეთესად დავაკვირდებით.

| ბერძნულ-რომაული | |
|---|---|
| **60 კგ** | |
| 1 | რევაზ ლაშხი (ბორჯომი) |
| 2 | ტარიელ ებრალიძე (თბილისი) |
| 3 | პაატა ბინაძე (თბილისი) |
| 3 | ლაშა ლოლაშვილი (თბილისი) |
| **74 კგ** | |
| 1 | შმაგი სალთხუციშვილი (გარდაბანი) |
| 2 | ალუდა ხუნჭუა (ხობი) |
| 3 | დავით კობერიძე (თბილისი) |
| 3 | გენადი გოგიშვილი (თბილისი) |
| **96 კგ** | |
| 1 | რამაზ ნოზაძე (თბილისი) |
| 2 | გელა ჩხაიძე (აჭარა) |
| 3 | სოსო ჯაბიძე (ბაღდადი) |
| 3 | გია მორჩილაძე (თბილისი) |

| ბერძნულ-რომაული | |
|---|---|
| **55 კგ** | |
| 1. | ბესარიონ გუჩაშვილი (გორი) |
| 2. | გიორგი ედიშერაშვილი (თბილისი) |
| 3. | ამირან ელბაქიძე (გორი) |
| 3. | ლევან მეტრეველი (თბილისი) |
| **66 კგ** | |
| 1. | კობა კაკალაძე (აჭარა) |
| 2. | ჯონი ჯინჭარაძე (აჭარა) |
| 3. | მნაცაკან არუთინიანი (გორი) |
| 3. | მალხაზ ზარქუა (აფხაზეთი) |
| **84 კგ** | |
| 1. | ლერი ქეთიშვილი (თბილისი) |
| 2. | ნიკოლოზ გაგნიძე (თბილისი) |
| 3. | ვასილ ჩოხელი (თბილისი) |
| 3. | თამაზ გელაძე (ყაზბეგი) |
| **მძიმე** | |
| 1. | დავით მოძმანაშვილი (თბილისი) |
| 2. | ალექსანდრე მოდებაძე (თბილისი) |
| 3. | გიორგი ნიკურაძე (თბილისი) |
| 3. | დავით ოთიაშვილი (თბილისი) |





იოკოძუნა ასასიორიუმ მეოცე ტიტული ირგუნა

# კოკაის ცუდი ბაშო

21-ე საუკუნის პირველი და ერთადერთი იოკოძუნას, მონღოლი ასასიორუს სრული და მოსალოდნელი ტრიუმფით დასრულდა სეზონის პირველი, კოკუგიკანური ბაშო. ტურნირის სტარტზე მონღოლმა დიდკაცმა ერთი ორთაბრძოლა კი დათმო, მაგრამ მერე ყველა მეტოქეს აჯობა, თხუთმეტიდან 14 მოგება მიითვალა და მორიგი, რიგით მე-20 ტიტული და ამ ტიტულის სარგო იმპერატორის თასი ვადამდე ალალად მოიპოვა.

ბაშოს ბოლო ორ დღეს იოკოძუნამ ტოჩიაძუმა და კოტოოსიუ დაჯაბნა და საბოლოო ჯამში უახლოეს მდევარ ტოჩინოშიმას ორი ქულით გაასწრო. ამათ უკან კი მესამე ადგილი 10-10 მოგებით ერთბაშად ხუთმა სეკიტორიმ გაიყო — ამამ, ჰაკუჰომ, ჩიოტაიკაიმ, ტამანოშიმამ და ასასეკირიუმ.

რაც შეეხება ქართველი კოკაის, მან, სამწუხაროდ, ზედიზედ მეორე ბაშო დაამთავრა უარყოფითი ბალანსით — რვა მარცხის წილ მხოლოდ შვიდი გამარჯვება მოიპოვა და მომდევნო, მარტის ბაშოსთვის წოდებაში დაქვეითება მოუწევს. ანუ, ახლა რომ მე-5 მეგაშირა იყო, სამომავლოდ უფრო დაბლა დაეშვება. არადა, ორი ბაშოს წინ „შავი ზღვა“ კომუსუბის ტიტულს ფლობდა და თითქოს უფრო მეტზეც ჰქონდა პრეტენზია.

კოკუგიკანური ტურნირის დასრულებამდე ორი ტურით ადრე კოკაის კიდევ ჰქონდა კატიკოსის, ანუ დადებითი ბალანსის შანსი — ორივე დარჩენილი ორთაბრძოლა უნდა მოეგო, მაგრამ არ გამოვიდა. უკვე მე-14 ტურში ჩვენებური ტაკეკაძესთან დამარცხდა. ბოლო ტურში კი კოკაის მეტოქე ოსი როჰო იყო, ვისთვისაც ახალი წელი საშინლად დაიწყო — თხუთმეტიდან თორმეტი ორთაბრძოლა წააგო. როჰოს კოკაიმაც სძლია, ასე ვთქვათ კარი გაიჯახუნა და უარყოფითი ბალანსის სიმწარე ოდნავ იმით დაატკბო, რომ გვათქმევინა — ქართველმა რუსეთის წარმომადგენელს აჯობაო.

## მსოფლიოს XX ჩემპიონატი
კაცები. გერმანია. 19 იანვარი – 4 თებერვალი

**A ჯგუფი**
სლოვენია 35:21 გრენლანდია
ტუნისი 34:23 ქუვეითი
გრენლანდია 20:36 ტუნისი
სლოვენია 33:23 ქუვეითი

**B ჯგუფი**
ისლანდია 45:20 ავსტრალია
საფრანგეთი 32:21 უკრაინა
ავსტრალია 10:47 საფრანგეთი
უკრაინა 32:29 ისლანდია

**C ჯგუფი**
გერმანია 27:22 ბრაზილია
პოლონეთი 29:15 არგენტინა
ბრაზილია 23:31 პოლონეთი
არგენტინა 20:32 გერმანია

**D ჯგუფი**
ჩეხეთი 37:23 ყატარი
ესპანეთი 33:29 ეგვიპტე
ყატარი 18:41 ესპანეთი
ეგვიპტე 30:31 ჩეხეთი

**E ჯგუფი**
ნორვეგია 41:13 ანგოლა
დანია 29:30 უნგრეთი
ანგოლა 20:39 დანია
უნგრეთი 25:22 ნორვეგია

**F ჯგუფი**
ხორვატია 35:22 მაროკო
რუსეთი 32:32 კორეა
მაროკო 19:35 რუსეთი
კორეა 23:41 ხორვატია

# მაქსიმოვი მაქსიმალისტი არ არის

**გერმანია** ვაჟ ხელბურთელთა მსოფლიოს საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს მასპინძლობს. ექვს ჯგუფში განაწილებული 24 ნაკრები ნახევართვიან ზემარათონში ჩაება.

ორ-ორი საუკეთესო გუნდი (სულ 12) მომდევნო, ასევე წრიულ ეტაპზე გაიქნევს ხელს, მერე კი რვა უძლიერესი პლეი ოფის წესით მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებს.

ფავორიტებად ითვლებიან მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი ესპანეთი, ევროპის ჩემპიონი საფრანგეთი, ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორი ხორვატია და კონტინენტის ექსჩემპიონი, მასპინძელი გერმანია. დაწყებამდე სატიტულო კანდიდატთა შორის მოიხსენიებოდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი რუსეთიც, მაგრამ სლავ ხელბურთელებს საკუთარი ხელით გადაუწურა წარმატების იმედი მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ მაქსიმოვმა, აქაოდა, ტრავმის მიზეზით ძირითადი შემადგენლობის სამი მოთამაშე გვაკლია და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაც კი გაგვიჭირდებაო.

მაქსიმოვის პესიმიზმი უკვე სამხრეთკორეელებთან სასტარტო მატჩმა დაადასტურა. მთელი შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა (ანგარიში 18-ჯერ იყო საყაიმო) და საბოლოოდ ასეც დასრულდა. რუსები მათი მთავარმეგოლე(7) ალექსეი რასტვორცევის ზუსტმა ტყორცნამ იხსნა მარცხისგან ბოლო წამებზე — 32:32. თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ დღეს მეტოქედ თვით ოლიმპიონიკი ხორვატები ჰყავთ, არაა გამორიცხული, პირველივე ეტაპზე გამოაკლდნენ სამედლოდ მებრძოლთ.

თავიდან გვირგვინოსან ესპანელებსაც გაუჭირდათ, ეგვიპტელებთან კარგა ხანს მდევრების როლში იყვნენ, საფინალო სასტვენამდე 13 წუთით ადრეც — 23:24, მაგრამ სამ წუთში სამი უპასუხო გოლით თამაშში გარდატეხა შეიტანეს და შერცხვენას გადაურჩნენ.

მოიგო ისლანდიამაც, რომლის შემადგენლობაშიც აღარაა ვეტერანი გოლკიპერი, ყოფილი ჩვენი თანამემამულე როლანდ ერაძე. კუნძულელთა კარს ამჯერად ორი გუდმუნდსონი იცავს — ბირკირი და ჰრეიდარი. ავსტრალიელებთან შეხვედრაში შედეგიანობით გამოირჩა ისლანდიელთა ლიდერი გუდიონვალურ სიგურდსონი, რომლის 16 ნატყორცნიდან 15 მიზანში მოხვდა.

**გია ახალაძე**



AFP ბროშურიდან

ხოსე მარია ვაკეროს ეგვიპტელებს ოთხი გოლი გაუტანა

## ევროპის VIII ჩემპიონატი
კაცები. შესარჩევი ტურნირი. მესამე ჯგუფი

მარცხიანად დაწყებული მარცხიანად დასრულდა. გუშინ საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა ბულგარეთში წააგო და შესარჩევი ტურნირი ბოლო ადგილზე ჩაამთავრა.

21 იანვარი
რუმინეთი 41:31 ლატვია
ბულგარეთი 24:21 საქართველო

სატურნირო ვითარება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 6 | 0 | 0 | 203:153 | 12 |
| ლატვია | 4 | 0 | 2 | 187:167 | 8 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 5 | 140:171 | 2 |
| საქართველო | 1 | 0 | 5 | 140:179 | 2 |



ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას მემორიალი

# რუსთაველი

## აზოტმა მემორიალი ქვემო ქართლს აჩუქა



რუსთაველი დავით უგრეხელიძე ყველაზე მაღლა

ვაჟა ფირცხალაიშვილის ფოტო

20 იანვარი

**ავიამშენი 98:69 მაკაბი**
*20:16 26:14 28:18 24:21*

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (5), ხოშტარია (12), დ. ბარბაქაძე (7), ბაბიაშვილი (24), როდუმტა (2); ი. ბერიშვილი (18), ნინიაშვილი (16), კეიდია (10), სუხიშვილი (4)
მაკაბი: კორკოტაძე (5), დოლიძე (11), ვაშაკიძე, ს. შერმადინი (11), გ. შერმადინი (35 ქულა, 14 მოხსნა); პირველაშვილი (7), ენუქიძე, ნინუა
*მსაჯები: კუპატაძე, მიქელაძე, ანდღულაძე*
*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

**სტუ 68:107 აზოტი**
*14:26 18:33 23:25 13:23*

სტუ: ბერაია (15), კოხრეიძე (9), გ. ბარბაქაძე (11), ლ. ნოზაძე (13), დ. მაისურაძე (1); დევიძე (12), ბაბუნაშვილი (7), სეფისკვერაძე, ფოლადაშვილი
აზოტი: გამყრელიძე (2), ტულუში (10), გოგობერიშვილი (3), დიდია (10) უგრეხელიძე (9); მარკოიშვილი (23), ბერძენიშვილი (12), ბოისა (10), მინაშვილი (10), ჭოჭუა (9), ტუჯანი (6), ცეკვავა (3)
*მსაჯები: ბერეკაშვილი, არეშიძე*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

21 იანვარი

**ფინალი**

**აზოტი 95:75 თსუ**
*21:15 24:26 27:21 23:13*

აზოტი: გამყრელიძე (16 ქულა, 10 პასი, 6 ჩაჭრა), ტულუში (13), გოგობერიშვილი (8), ბეჟანიშვილი (12), უგრეხელიძე (18 ქულა, 13 მოხსნა); მარკოიშვილი (15), დიდია (6), ბოისა (3), ბერძენიშვილი (2), ტუჯანი (2)
თსუ: ვეფხვაძე (10), ბ. ბერიშვილი (16), ლეჟავა (7), შანიძე (17), მათიაშვილი (4); იმნაძე (13), მ. ბერიშვილი (6), ფანჩულიძე (2), არწივიძე
*მსაჯები: მაჩალაძე, კუპატაძე, ბერეკაშვილი; კომისარი: მურმან ქურიძე*

**ირაკლი ფირაშვილი** *რუსთავიდან*

**ქართული** კალათბურთის ორი ლეგენდის — მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალური ტურნირი მეორედაც რუსთავის „აზოტმა" მოიგო და წლების განმავლობაში ეროვნული ჩემპიონობის მომლოდინე ქომაგები კვლავ შედარებით მომცრო ტიტულით გაახარა.

წლეულს „აზოტი" საქართველოს უდავოდ საუკეთესო გუნდია და ეს შინაურ კედლებში განსაკუთრებით კარგად ჩანს. მემორიალის ჯგუფურ ეტაპზე მას ხეირიანი კონკურენტი არც ჰყოლია, ექვსგუნდიანი ტურნირის ჯგუფში ორი სუსტი მეტოქე შეხვდა — „დინამო" და სტუ, ორივეს ჯამში 60 ქულით მოუგო და ფინალშიც ასე გავიდა, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი ელოდა, რომელსაც თავის ჯგუფში გაცილებით მეტი მღელვარება შეხვდა ქვეყნის ჩემპიონ „ავიამშენის" სახით.

უნივერსიტეტელებს შემადგენლობაც სოლიდური ჰყავთ და გამარჯვების წყურვილიც არ აკლიათ, „ავიამშენსაც" და „აზოტსაც" მუდამ ბოლომდე ებრძვიან და ასე იყო ამ ტურნირის ფინალშიც, მაგრამ სტუდენტებმა მხოლოდ საკუთარ თავს უნდა მოჰკითხონ, ეს დაძაბული მატჩი დრამატული ფინალის გარეშე რომ ჩათამაშდა და „აზოტთან" ბოლომდე ბრძოლის შანსი ნაადრევად რომ დაკარგეს.

თავიდან დავიწყოთ: 4:2 დაწინაურებულ „აზოტს" სტუდენტებმა ბუბა ბერიშვილის და ნიკა ვეფხვაძის ორიანებით უპასუხეს და ჯერ 6:4 გალიდერდნენ, მოგვიანებით კი — 11:7. „აზოტის" თავკაცმა დავით უსტიაშვილმა წუთშესვენება აიღო. ვერ გეტყვით, რა უთხრა მან შეგირდებს, მაგრამ მათ ორწუთიანი მონაკვეთი 7:0 მოიგეს და დარჩენილი 35 წუთის განმავლობაში ლიდერობა აღარც დაუკარგავთ. ჯერ კოტე ტულუშმა ჩააგდო წყვილი საჯარიმო, შემდეგ გიორგი მარკოიშვილმა მოედანზე შემოსვლა 3-იანით აღნიშნა. ამას იქვე ჩაჭრა და რევაზ დიდიას 2-იანი მოჰყვა და ახლა თსუ-ს მთავარკაცი ნუგზარ ჭეიშვილი დადგა ტაიმაუტის აღების აუცილებლობის წინაშე. მწვრთნელის დარიგებებმა არც თსუ-ს აწყინა, ბესიკ ლეჟავამ 13:14 მიაახლოვა თავისი გუნდი მეტოქეს, მეტი კი უნივერსიტეტელებმა ველარ მოახერხეს და საწყისი მეოთხედი 15:21 დათმეს.

დაძაბული და თანაბარი იყო მეორე მეოთხედიც. „აზოტი" მეტოქის ჩამოტოვებას ვერ ახერხებდა, თუმც არც ძალიან ახლოს უშვებდა, სხვაობა 3-9 ქულას შორის ვარირებდა და ტაიმი მასპინძელთა 4-ქულიანი წინყოფნით დასრულდა, შესვენების შემდეგ კი ზუსტად ისეთივე ბრძოლა გაგრძელდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მუდმივი მდევრის სტატუსმა დადებითი გავლენა ვერ მოახდინა სტუდენტთა ბრძოლისუნარიანობაზე. ისინი ვერაფრით ახერხებდნენ ერთი მძლავრი დარტყმის გაკეთებას, ამასთან რუსთაული მხარისკენ ორი უპირატესობა გამოიკვეთა — ფინალის ორი აშკარად საუკეთესო მოთამაშე მასპინძელთა გუნდში თამაშობდა — გამთამაშებელი ლაშა გამყრელიძე და ცენტრი დავით უგრეხელიძე სტუდენტებს არც პირველის სისწრაფის და არც მეორის ძალის საპირისპიროდ თითქმის არაფერი აღმოაჩნდათ. გამყრელიძემ ჩაჭრებით და უსწრაფესი გარღვევებით პირდაპირ აიკლო მეტოქის დაცვა, ხოლო როცა საქმე პოზიციურ ბრძოლაზე მიდგებოდა, ფარქვეშ უგრეხელიძეს ვერც ერთი სტუდენტი ვერ სჯობდა — უგრე საკუთარი ინიციატივითაც უტევდა და არანაკლები წარმატებით ხსნიდა-ამატებდა თანაგუნდელთა აცილებულებს. მეტოქის ფარზე მან 6 ბურთი მოხსნა.

მაგრამ თსუ ამ ორ რუსთაველს იმდენად არ დაუზარალებია, რომ ხელი ჩაექნია. გარდამტეხი გამოდგა მესამე მეოთხედში თსუ-ელი ლეჟავას ტექნიკური ჯარიმა, რომელიც აზოტელმა გიორგი მარკოიშვილმა საჯარიმოებით 4 ქულად აქცია და 7 ქულით წასწია თავისი გუნდი. თსუ თამაშის რიტმიდან ამოვარდა, „აზოტმა" კი ამით ისარგებლა და 12 ქულით გაიჭრა, მესამე მეოთხედის შემდეგ კი 10-ქულიანი უპირატესობა დაიბევა.

უნივერსიტეტს არც ბოლო მეოთხედში მისცემია სხვაობის გაბათილების შანსი, ის უკვე არა 4-5, არამედ 8-13 ქულით ჩამორჩებოდა მეტოქეს, ხოლო თამაშის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე რუსთაველმა კოტე ტულუშმა 88:75 ანგარიშზე სამქულიანიც რომ ჩააგდო, ბრძოლაც შეწყდა.

ამგვარად, რუსთავის „აზოტმა" მეორედ მოიგო მემორიალი და თასთან ერთად შეხვდა GTB ბანკისგან გამარჯვებულისთვის დაწესებული 5 000-ლარიანი ჩეკიც. თასი პირველად „აზოტის" მრავალჭირნახულმა ვეტერანმა კაპიტანმა რამაზ გოგობერიშვილმა შემართა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აზოტელი ლაშა გამყრელიძე დასახელდა და მას სპეციალურ პრიზად მუსიკალური ცენტრი გადაეცა. ორ თამაშში 89 ქულის გამკეთებელი მაკაბიელი გიორგი შერმადინი კი ტურნირის ბომბარდირი გახდა.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ენტონი და ხვალეო...

## ფოცხვერებმა ქორები ჭაერში მოხსნეს



ზაზა ფაჩულიას დაფარებას შარლოტელი ემეკა ოკაფორი ცდილობს

### 19 იანვარი

**ატლანტა 75:96 შარლოტი**
ატლანტა: აივი (6), ჯონსონი (19), სმიტი (14), მ. უილიამსი (8), რაიტი (2); ჩილდრესი (12), ფაჩულია (17 წუთი, 6 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), შ. უილიამსი (5), სტუდემაიერი (2), ტომპსონი (1), ჯონსი, მედვედენკო
შარლოტი: მაკინისი (10), კეროლი (12), ანდერსონი (9), უოლესი (18), ოკაფორი (22); მორისონი (19), ჰოლინსი (4), ვოსკული (2), ჰერმანი

**ორლანდო 93:114 ვაშინგტონი**
ორლანდო: ჰილი (24), ჰოვარდი (20 ქულა, 13 მოხსნა)
ვაშინგტონი: ჯემისონი (31 ქულა, 16 მოხსნა), არენალი (30 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი)

**ტორონტო 94:102 იუტა**
ტორონტო: ბოში (29 ქულა, 11 მოხსნა), კალდერონი (16)
იუტა: ოქური (27), ბუზერი (23 ქულა, 19 მოხსნა)

**ფილადელფია 98:95 მაიამი**
*ძირითადი დრო 89:89*
ფილადელფია: იგუდალა (16 ქულა, 7 მოხსნა, 9 პასი), მილერი (16 ქულა, 9 პასი)
მაიამი: ვეიდი (28 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი), უოკერი (19 ქულა, 12 მოხსნა)

**სან ანტონიო 99:86 ნიუ ორლეანი**
სან ანტონიო: პარკერი (23), ჯინობილი (19)
ნიუ ორლეანი: ვესტი (19), ჯექსონი (14)

**ბოსტონი 91:96 საკრამენტო**
ბოსტონი: ვესტი (26), ჯეფერსონი (23)
საკრამენტო: მარტინი (27), მილერი (18 ქულა, 6 მოხსნა, 7 პასი)

**ნიუ იორკი 100:101 ნიუ ჯერსი**
ნიუ იორკი: რიჩარდსონი (24), მარბერი (23)
ნიუ ჯერსი: კიდი (23 ქულა, 7 მოხსნა, 9 პასი), ჯეფერსონი (21)

**მინესოტა 98:104 დეტროიტი**
*ძირითადი დრო 79:79*
მინესოტა: ბლუნტი (22 ქულა, 15 მოხსნა), გარნეტი (14 ქულა, 19 მოხსნა)
დეტროიტი: ჰამილტონი (26), ბილაფსი (25 ქულა, 8 პასი)

**ფინიქსი 106:101 პორტლენდი**
ფინიქსი: სტუდემაიერი (23), დიაო (21), ბარბოსა (20)
პორტლენდი: რენდოლფი (36 ქულა, 15 მოხსნა), როი (22)

**სიეტლი 99:72 მილუოკი**
სიეტლი: ალენი (21), კოლისონი (13 ქულა, 16 მოხსნა),
მილუოკი: პატერსონი (16), ბოგუტი (14 ქულა, 7 მოხსნა)

**დენვერი 110:99 კლივლენდი**
დენვერი: კემბი (26 ქულა, 14 მოხსნა), აივერსონი (25 ქულა, 9 პასი)
კლივლენდი: ჯეიმსი (30 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი)

### 20 იანვარი

**შარლოტი 104:85 ატლანტა**
შარლოტი: მაკინისი (17), კეროლი (22), ანდერსონი (7), უოლესი (12), ოკაფორი (19); მორისონი (18), ვოსკული (5), ჰერმანი (4), ჰარინგტონი, ჰოლინსი
ატლანტა: აივი (12), ჯონსონი (22), სმიტი (2), მ. უილიმსი (20), რაიტი (6); ჩილდრესი (18), ტომპსონი (3), ფაჩულია (21 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი), ბატისტა, შ. უილიამსი

**კლიპერსი 112:91 მემფისი**
კლიპერსი: ბრენდი (34), კასელი (21 ქულა, 14 პასი)
მემფისი: გასოლი (27), გაი (17)

**ნიუ ორლეანი 113:103 ლეიკერსი**
ნიუ ორლეანი: ვესტი (26 ქულა, 12 მოხსნა), ბატლერი (20)
ლეიკერსი: ბრაიანტი (23), ევანსი (23)

**ჰიუსტონი 113:121 დენვერი**
*ძირითადი დრო 108:108*
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (24 ქულა, 10 პასი), ჰოვარდი (21 ქულა, 13 მოხსნა)
დენვერი: აივერსონი (36 ქულა, 10 პასი), სმიტი (24), კემბი (12 ქულა, 22 მოხსნა)

**ჩიკაგო 85:95 იუტა**
ჩიკაგო: გორდონი (23), ჰაინრიხი (22)
იუტა: ოქური (21 ქულა, 11 მოხსნა), ბუზერი (19 ქულა, 14 მოხსნა)

**ინდიანა 106:108 ნიუ იორკი**
ინდიანა: ონილი (25 ქულა, 10 მოხსნა), გრანჯერი (19)
ნიუ იორკი: კერი (26), მარბერი (22), ლი (20 ქულა, 16 მოხსნა)

**დეტროიტი 91:74 საკრამენტო**
დეტროიტი: ჰამილტონი (19), პრინსი (17)
საკრამენტო: უილიამსონი (17), არტესტი (14)

**ვაშინგტონი 115:110 ბოსტონი**
*ძირითადი დრო 102:102*
ვაშინგტონი: ბატლერი (23), ჯემისონი (23), არენასი (22)
ბოსტონი: გომესი (31 ქულა, 9 მოხსნა), ჯეფერსონი (23 ქულა, 10 მოხსნა), რეი (20)

**ნიუ ჯერსი 101:94 ორლანდო**
ნიუ ჯერსი: კარტერი (27), ჯეფერსონი (17), ჰაუსი (17)
ორლანდო: თურქოღლუ (24), რედიკი (13)

**გოლდენ სტეიტი 104:106 კლივლენდი**
*ძირითადი დრო 98:98*
გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (29), ელისი (16), ჰარინგტონი (14 ქულა, 12 მოხსნა)
კლივლენდი: ჯეიმსი (32), ჰიუზი (15), ილგაუსკასი (14)

**ატლანტელთა** განავარდება დიდხანს არ გასტანა. ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ „ქორები“ მიწაზე დაეშვნენ — სამ დღეში მათ ორი მატჩის წაგება მოასწრეს, თანაც ერთი და იმავე გუნდთან, „შარლოტ ბობქეთსთან“.

„ატლანტისა“ არ იყოს, „შარლოტი“ ნბა-ში ძლიერი გუნდის რეპუტაციით არ სარგებლობს, მაგრამ ჯორჯიელთა ფონზე „ფოცხვერები“ ერთობ ძლევამოსილად გამოჩნდნენ. შარლოტელებმა ჯერ ატლანტაში არ დაუტოვეს შანსი იქაურებს და ორ დღეში უკვე შინ ასროლინეს კუდით ქვა.

საერთოდ, „ატლანტასთვის“ და მისი მეფარეებისთვის ეს კარგი გაკვეთილი იყო — თუკი „შარლოტმა“ სადმე დაჯაბნა მეტოქე, უპირველესად ფარქვეშეთში. ემეკა ოკაფორმა და ჯერალდ უოლესმა პირწმინდად დაჩაგრეს ატლანტელი მეფარეები, რაც პირდაპირ ეხება ზაზა ფაჩულიას და მის აქამდელ შემცვლელს, ახლა კი ხუთეულში ფეხგადგმულ ლორენც რაიტს.

ამას წინათ ატლანტელთა თავკაცმა მაიკ ვუდსონმა თქვა, ფაჩულია სათადარიგო სკამიდან თამაშში ჩართვისას უფრო ძლიერია, ხოლო გუნდი უფრო კარგად რაიტის ხუთეულში ყოფნისას ირჯებაო. ეს იყო და ფაჩულია აგერ, უკვე მეოთხე მატჩია, ხუთეულში აღარაა. მას სათამაშო დრო ლამის გაუნახევრდა, რაც შედეგიანობაზეც აისახა.

„შარლოტთან“ წაგებულ ბოლო მატჩის რეპორტაჟში ეწერა, რომ ფაჩულია ჯერაც არ მომჯობინებულა ფეხის ტრავმის მერე, თუმც წინა ორშაბათს ზაზას რომ ველაპარაკეთ, გვითხრა, მწყობრში ვარო. ასეა თუ ისე, ხუთეულში ლორენც რაიტი იწყებს თამაშს, თუმც ფაჩულიაზე უკეთესი სტატისტიკა ბოლო მატჩამდე არ უჩვენებია.

მეფარეებს თავი დავანებოთ და ატლანტელ ჯოშ სმიტზე ვთქვათ, რომელსაც დისციპლინართა რისხვა არ ასცდება იმ უმსგავსობის გამო, რაც მან „შარლოტთან“ გუშინწინდელ მატჩში ჩაიდინა. მეორე მეოთხედში ჯოშუამ მსაჯთან კამათის გამო ორი ტექნიკური დაიმსახურა და მოედნიდანაც მიაბრძანეს. გზად გასახდელისკენ მან შარლოტელ ქომაგებს ორივე ხელით შუა თითი აჩვენა, რაც, ყველას კარგად მოგეხსენებათ, ცუდ რამეს ნიშნავს და სმიტს დისციპლინარებისგან დანდობა ნამდვილად არ ექნება.

გინდ სმიტით, გინდ უსმიტოდ, „ატლანტა“ უშანსოდ იყო და „შარლოტთან“ ტყუპი წაგებით აღმოსავლეთ კონფერენციის ერთიან ცხრილში ადგილი სწორედ ამ გუნდს გაუცვალა.

ამასობაში მოედანს უბრუნდება ლიგის არქიმეტული კარმელო ენტონი, რომელმაც 15-მატჩიანი დისკვალიფიკაცია პატიოსნად მოიხადა და ორშაბათს „მემფისთან“ ითამაშებს. „დენვერმა“ გუშინწინ ბოლო მატჩი ჩაატარა თავისი ერთგული ლიდერის გარეშე და ალენ აივერსონის გმირული თამაშის წყალობით ჰიუსტონში საამაყო გამარჯვება მოიპოვა.

საერთოდ, რაც ენტონის მოედანზე დაბრუნება ახლოვდებოდა, მით უფრო უმატებდა „ფილადელფიიდან“ მამასისხლად გადმოყვანილი აივერსონი. ჭინკა ალენმა „ჰიუსტონს“ ტეხასში 36 ქულა ჩაუგდო და თავისიანებს 10 პასიც გაუჩარხა, რაც საკმარისი აღმოჩნდა „როკეტსის“ წასაქცევად — სხვათა შორის, „ჰიუსტონს“ შინ 10 თამაში არ წაეგო და ეს იღბლიანი სერია სწორედ აივერსონის მონდომებით შეწყვიტა.

სირენამდე ორნახევარი წუთით ადრე „დენვერი“ თითქოს განწირული ჩანდა — 100:108 აგებდა, მაგრამ კისკას-ალენმა ჯერ სამი საჯარიმო ჩააგდო, შემდეგ მარკუს კემბს უზადო პასი გამოუძერწა, მერე კი ისევ თავად გაისროლა ზუსტი სამქულიანი და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა. მას ძირითად დროშივე შეეძლო მატჩის ბედის გადაწყვეტა, მაგრამ გადამწყვეტი სროლა აუცდა და ჰიუსტონელებს შინ წაუგებლობა რამდენიმე წუთით გაუხანგრძლივა.

„ორშაბათს შობა გათენდება. ეს ალბათ საკმაოდ ხალისიანი დღე იქნება“ — ხუმრობს ალენ აივერსონი ენტონის დაბრუნების გამო. ერთიც ქულების გროვების მანიითაა შეპყრობილი და მეორეც. დენვერელთა თავკაც ჯორჯ კარლს კი სურს, რომ აივერსონსაც და ენტონისაც სახუმაროდ ჰქონდეთ საქმე, როცა ეს უკანასკნელი მოედანს დაუბრუნდება.

„ჰიუსტონამდე“ „დენვერმა“ შინ „კლივლენდი“ დააჩოქა და აქაც აივერსონის მონდომებით. ეს მატჩი უფრო იმით იყო გამოსარჩევი, რომ მთავარმა „კავალერისტმა“ ლებრონ ჯეიმსმა პირველი სამმაგი დუბლი შეასრულა მიმდინარე სეზონში — 30 ქულას ათ-ათი მოხსნა-პასიც მიაბა. ეს ლებრონისთვის მეათე და მეტად უიღბლო სამმაგი დუბლია კარიერაში, რადგან მის გუნდს წარმატების მისხალი შანსიც არა ჰქონია დენვერში.

**ირაკლი პერტაია**

---





ნიკოლაი ვალუევი

AFP

# მძიმე ფარსი

## ჰატონმა მსუბუქი ქამარი დაიბრუნა

**დიდად** რეკლამირებული, ყველა დროის ყველაზე „მძიმე“ ორთაბრძოლად შერაცხული ჯახი 150-კილოგრამიან ნიკოლაი ვალუევსა და 130-კილოგრამიან ჯამილ მაკლაინს შორის მესამე რაუნდში უღიმღამოდ დამთავრდა — ამერიკელმა სრულიად უწყინარ სიტუაციაში როგორღაც მოახერხა იმდენად სერიოზული ფეხის ტრავმის მიღება, რომ ბრძოლა ველარ გააგრძელა.

არადა, ამ ბრძოლისგან ყველა ძალიან ბევრს ელოდა, რადგანაც გოლიათ ვალუევს მასთან ყველაზე მიახლოებული — გინდ წონით და გინდ სიმაღლით — მეტოქე გამოუძებნეს და, ბევრის აზრით, აქ უნდა გარკვეულიყო ის, თუ რა შეუძლია სინამდვილეში რუს გოლიათს. მაგრამ ვერც მაყურებელმა და სპეციალისტებმა იხილეს და არც მაკლაინს დასცალდა რუსის შესაძლებლობების გამოცდა. ამერიკელი პირველ ორი რაუნდში არაფერში არ ჩამოუვარდებოდა თავის მეტოქეს და ერთი-ორჯერ სერიოზულადაც მოარტყა ვალუევს. ეს იყო და ეს — მესამე რაუნდში მაკლაინმა დასარტყმელად ხელი რომ მოიქნია, ფეხი უხერხულად დადგა და წაიქცა. წამოდგომა კი სცადა, მაგრამ ფეხზე ვერ გაჩერდა და... მაყურებელმა ბევრი კი უსტვინა, მაგრამ ვალუევს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაეთვალა. მოკლედ, რუსმა ასე დაიცვა WBA-ს ტიტული და ახლა მის ანგარიშზე 46 გამარჯვებაა, აქედან 33 ნოკაუტით.

გუშინ კიდევ ერთი საინტერესო ჯახი ლას ვეგასში გაიმართა, სადაც 63,5 კგ-მდე წონაში დაბრუნებულმა მანჩესტერელმა გოლიათმა რიკი ჰატონმა IBF-ის ტიტული კოლუმბიელ ხუან ურანგოს წაართვა, უფრო სწორად კი, დაიბრუნა, რადგან ბრიტანელი ამ ქამარს ზედა წონებში გადასვლამდეც ფლობდა.

ეს ბრძოლა კი მეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა — მოკრივეებმა რინგზე თორმეტი რაუნდი გაატარეს და ერთმანეთი გვარიანადაც დაალილავეს, მაგრამ სამივე მსაჯის გადაწყვეტილებით ჰატონს უფრო უკეთესი და ბრიტანელიც ახლა სახლში ქამრით ბრუნდება.

**კახა ლომაშვილი**

ავსტრალიის ღია პირველობა 2007. მელბურნი. 15-28 იანვარი. საპრიზო 20 000 000 $

# ჩეხური სიყვარული ავსტრალიაში დაფრინავს


ლუსი შაფაროვასა და ტომაშ ბერდიხისთვის გამარჯვების რეცეპტი სიყვარულია

AFP ფლეშბურნიდან

შავად გაუთენდათ კვირა დღე რუს დიდქალებს — გუშინ ერთაბაშად სამი განთესილი სლავი დაიფრინეს მელბურნ-პარკის კორტებიდან. მანამდე სენსაციებით მწირმა ტურნირმა კი ერთდროულად დაკარგა მესამე, მეშვიდე და მეცხრე ნომრები. მაგრამ, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ეს დღის მთავარ მოულოდნელობად მაინც არ ქცეულა, რადგან ტურნირს ფავორიტი და შარშანდელი ჩემპიონი ამელი მორესმო დაემშვიდობა.

კიდევ უფრო მოულოდნელი ის იყო, რომ მხარბეჭიანმა ფრანგმა ლუსი შაფაროვასთან წააგო, 19 წლის ჩეხთან, რომელსაც ავსტრალიაში ჩასვლამდე სლემტურნირებზე მხოლოდ ერთი მატჩი მოეგო. თუმც ამ ფაქტს შაფაროვასთვის ტურნირის მეორე ნომრის დამარცხებაში ხელი სულაც არ შეუშლია.

როგორც ჩანს, მორესმოს დიდად არ წაადგა წინა წრეებში მოპოვებული იოლი გამარჯვებები. ფრანგმა ან ზედმეტად ირწმუნა საკუთარი უძლეველობის, ანაც ძალიან იყო დარწმუნებული მეტოქის სისუსტეში. თანაც შეხვედრა ისე დაიწყო, რომ ამელი კიდევ უფრო მოეშვა — მორესმო 4:1 დაწინაურდა და თითქოს ყველაფერი ხელთ ეპყრა. მაგრამ აქ შაფაროვამ დაიწყო და რა დაიწყო — ჩეხი გამუდმებით უტევდა და ამის ხარჯზე ზედიზედ ხუთი გეიმის მოგებით სეტი თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

ჩეხმა ტემპს არც მეორე პარტიაში მოუკლო და უკვე თვითონ დაწინაურდა 4:1. თუმც შაფაროვამ თავისი გამოცდილი მეტოქისგან განსხვავებით, შეძლო მოპოვებული უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება და ყველაზე ხმაურიან სენსაციასაც უავტორა.

„ცენტრალურ კორტზე დღეს დილას რომ გავედი, გავიფიქრე, ღმერთო, რამხელაა-მეთქი. აქ პირველად კი ვთამაშობდი, მაგრამ თავს მაინც მეტად კომფორტულად ვგრძნობდი" — ბედნიერი იყო ნამატჩევს შაფაროვა.

ახლა კი ისევ რუსთა გვემას მივუბრუნდეთ — თითქოს პირი შეკრესო და სვეტლანა კუზნეცოვამ, ელენა დემენტიევამ და დინარა საფინამ ერთნაირად უხეიროდ ითამაშეს და თითქმის უბრძოლველად დათმეს თავიანთი შეხვედრები. მათი ცოდვა კი შესაბამისად შაჰარ პირმა, ნიკოლ ვაიდიშოვამა და ნა ლიმ დაიდეს.

შაბათი კი ავსტრალიელთათვის გამოდგა შავი, რადგანაც ლეიტონ ჰიუიტი ფერნანდო გონსალესმა ოთხ სეტში დაამარცხა. ოზმა წლეულსაც ხელიდან გაუშვა საკუთარი მაყურებლის გახარების შესაძლებლობა. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩილელმა თითქმის უნაკლოდ ითამაშა — ასე განსაჯეთ, პირველ ორ სეტში გონსალესმა მხოლოდ ორი (!!!) უნებლიე შეცდომა დაუშვა. ჰიუიტმა მესამე პარტია სათავისოდ კი შემოაბრუნა, მაგრამ მერე მაინც ვერაფერს გახდა.

უკვე მეორე დიდი ბრძოლა გადაიტანა ენდი როდიკმა. მარატ საფინთან ომგამოვლილს რუსზე მეტი წინააღმდეგობა მარიო ანჩიჩმა გაუწია. თანამედროვე ჩოგბურთის ორი ყველაზე ცნობილი არტილერისტის ჯახი მეტად სანახაობრივი გამოდგა, რადგანაც ორივე შეტევაში ეძებდა თავის შანსს და ამიტომ მაყურებელმაც უამრავი ლამაზი კომბინაცია იხილა. ხორვატმა ორი სეტიც წაართვა და მაგრადაც ანერვიულა ენდი-ბოი, მაგრამ როდიკი მაინც გავიდა მეოთხედფინალში, სადაც თანამემამულე მარდი ფიშს დაეტაკება.

სამაგიეროდ, კვლავ უპრობლემოდ მიიწევს წინ როჯერ ფედერერი, რომლის გამჩერებელი აქაც არავინ ჩანს. დიადი ალპელის ტრიუმფალური სვლა ვერც თითქოსდა კარგ ფორმაში მყოფმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა შეაჩერა. ახალგაზრდა სერბმა მხოლოდ მეორე პარტიაში შეძლო მეტ-ნაკლებად სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. „მხიარული როჯერი" კი ისევ სეტწაუგებლად მიაბიჯებს მორიგი სლემტიტულისკენ.

თავისი წარმატებების გარდა შაფაროვას გუშინ კიდევ ერთი რამ ჰქონდა საზეიმო — მოიგო მისმა გულის სწორმა ტომაშ ბერდიხმაც, რომელიც დმიტრი ტურსუნოვს გაუსწორდა და წინ კიდევ ერთი რუსი ელოდება ნიკოლაი დავიდენკოს სახით.

**კახა ლომაშვილი**


AFP ფლეშბურნიდან


სერენა უილიამსმა ელენა იანკოვიჩი გადათელა

AFP ფლეშბურნიდან

20 იანვარი

**კაცები**

**მესამე წრე**

**ნიკოლაი დავიდენკო** (3, რუსეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 7:6 6:2 6:2; **ჯეიმს ბლეიკი** (5, აშშ) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6 7:5 6:2; **ფერნანდო გონსალესი** (10, ჩილე) — ლეიტონ ჰიუიტი (19, ავსტრალია) 6:2 6:2 5:7 6:4; **ენდი მიურეი** (15, ბრიტანეთი) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:3 6:2 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 6:2 6:2 6:2

**ქალები**

**მესამე წრე**

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:3 6:1; **ვერა ზვონარიოვა** (22, რუსეთი) — ანა ივანოვიჩი (13, სერბეთი) 6:1 6:2; **პატი შნიდერი** (8, შვეიცარია) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 3:6 6:2 6:0; **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — ალიონა ბონდარენკო (29, უკრაინა) 6:3 6:3; **მარტინა ჰინგისი** (6, შვეიცარია) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 6:2 6:1

21 იანვარი

**კაცები**

**მესამე წრე**

**ტომი ჰაასი** (12, გერმანია) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 7:6 6:3 6:3; **ტომაშ ბერდიხი** (13, ჩეხეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (21, რუსეთი) 6:2 6:1 6:1

**მეოთხე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (14, სერბეთი) 6:2 7:5 6:3; **ტომი რობრედო** (7, ესპანეთი) — რიშარ გასკე (18, საფრანგეთი) 6:4 6:2 3:6 6:4; **მარდი ფიში** (აშშ) — დავიდ ფერერი (16, ესპანეთი) 6:1 7:6 2:6 7:5; **ენდი როდიკი** (6, აშშ) — მარიო ანჩიჩი (9, ხორვატია) 6:3 3:6 6:1 5:7 6:4

**ქალები**

**მესამე წრე**

**ანა ჩაკვეტაძე** (12, რუსეთი) — ელენა კოსტანიჩ-ტოსიჩი (ხორვატია) 6:4 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა** (15, სლოვაკეთი) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:7 7:5 6:3; **ნა ლი** (19, ჩინეთი) — დინარა საფინა (9, რუსეთი) 6:2 6:2

**მეოთხე წრე**

**სერენა უილიამსი** (აშშ) — ელენა იანკოვიჩი (11, სერბეთი) 6:3 6:2; **შაჰარ პირი** (16, ისრაელი) — სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) 6:4 6:2; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (10, ჩეხეთი) — ელენა დემენტიევა (7, რუსეთი) 6:3 6:3; **ლუსი შაფაროვა** (ჩეხეთი) — ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) 6:4 6:3

## ჩვენი ბიჭი ავსტრალიაში

**ავსტრალიის** ღია პირველობამ ეკვატორს უწია და გუშინ „მელბურნ-პარკის" კორტებზე იუნიორებიც გამოჩნდნენ. ჩვენი ინტერესის სფეროში კი ისინი იმიტომ მოექცნენ, რომ ჭაბუკთა ტურნირში ლაზარე კუხალაშვილიც თამაშობს და ქართველმა ჩოგბურთელმა მოგებით დაიწყო ტურნირი.

კუხალაშვილის მეტოქე ბრიტანელი გრემ დისი იყო, რომელმაც პირველ სეტში 6:2 იმარჯვა. გადამწყვეტი მეორე სეტის ტაი-ბრეკი აღმოჩნდა, რომელშიც ლაზარემ 9:7 აჯობა მეტოქეს, რითაც ფსიქოლოგიურად გატეხა და მესამე სეტში თამაში უკვე ცალკორტა იყო — 3:6 7:6 6:1 კუხალაშვილის სასარგებლოდ. მეორე წრეში ჩვენებური მე-11 ნომრად განთესილ ჩეხ მიხალ კონეჩნის შეხვდება, რომელმაც ასევე სამ სეტში — 6:3 2:6 6:3 დაამარცხა ავსტრალიელი ენდრიუ ტომასი.

ჰოკეი

NHL რეგულარული ჩემპიონატი


მარკ რეკიმ ჰეთ თრიქი მიითვალა

19 იანვარი

**კოლუმბუსი 3:1 დეტროიტი**

*1:0 1:0 1:1*

1:0 ფრიტშე (17), 2:0 სვისტოვი (28), 2:1 ფრენცენი (45), 3:1 ფუტი (58)

**ბუფალო 4:3 ვანკუვერი**

*1:0 0:2 2:1 0:0 (1:0 ბულიტები)*

1:0 პომინვილი (8), 1:1 პაიეტი (25), 1:2 ბულისი (37), 2:2 ჰოსტადი (42), 2:3 ნესლუნდი (48), 3:3 დრური (60)

**ჩიკაგო 0:3 მინესოტა**

*0:1 0:1 0:1*

0:1 გაბორიკი (14), 0:2 ვეიე (32), 0:3 გაბორიკი (44)

**კალგარი 3:2 ანაჰაიმი**

*2:0 1:1 0:1*

1:0 მოსი (1), 2:0 ტანგეი (12), 3:0 იელი (30), 3:1 ს. ნიდერმაიერი (36), 3:2 ს. ნიდერმაიერი (42)

20 იანვარი

**ვაშინგტონი 1:4 ფლორიდა**

*1:0 0:2 0:2*

1:0 ქუბრუსი (4), 1:1 ქულინა (23), 1:2 შტუმპელი (26), 1:3 პელტონენი (52), 1:4 ქულინა (60)

**რეინჯერსი 1:3 ატლანტა**

*1:1 0:0 0:2*

0:1 კოვალჩუკი (25), 1:1 იაგრი (9), 1:2 პაველიდი (49), 1:3 ჰოსა (60)

**ნიუ ჯერსი 4:3 ფილადელფია**

*1:1 0:0 2:2 0:0 (1:0 ბულიტები)*

0:1 პოტულნი (3), 1:1 გომესი (16), 1:2 კოლდერი (42), 2:2 ლანგენბრუნერი (48), 2:3 განიე (54), 3:3 ჯიონტა (60)

**ბოსტონი 0:3 ოტავა**

*0:1 0:1 0:1*

0:1 ფილიპსი (18), 0:2 ჰითლი (36), 0:3 ჰითლი (60)

**პიტსბურგი 8:2 ტორონტო**

*3:1 2:0 3:1*

0:1 ონილი (4), 1:1 სტაალი (5), 2:1 რუუტუ (9), 3:1 რეკი (18), 4:1 რეკი (32), 5:1 რეკი (35), 6:1 კროსბი (45), 7:1 უელე (52), 7:2 დელი (54), 8:2 მელუონი (55)

**კაროლინა 5:6 ტამპა**

*2:1 2:3 1:1 0:0 (0:1 ბულიტები)*

1:0 სტაალი (6), 1:1 პროსპალი (7), 2:1 სტაალი (19), 3:1 უიტნი (21), 3:2 ლეკავალიე (24), 4:2 ლედი (28), 4:3 რეინჯერი (29), 4:4 სენ ლუი (33), 5:4 უოქერი (50), 5:5 კუბა (58)

**მონრეალი 4:3 ბუფალო**

*2:0 1:2 1:1*

1:0 ლატანდრესი (8), 2:0 კოივუ (20), 3:0 ბუიონი (25), 3:1 ბრიარი (30), 3:2 როი (37), 3:3 ბრიარი (49), 4:3 რაიდერი (58)

**ნეშვილი 6:3 ჩიკაგო**

*2:2 1:0 3:1*

1:0 ერატი (8), 2:0 დიუმონი (8), 2:1 ჰავლატი (10), 2:2 მაგდონალდი (10), 3:2 ლეგვანდი (36), 3:3 კეიტი (42), 4:3 ლეგვანდი (49), 5:3 ტიმონენი (59), 6:3 ლეგვანდი (60)

**კოლორადო 3:1 დეტროიტი**

*1:1 0:0 2:0*

1:0 ლაპერერი (10), 1:1 ფილიპულა (16), 2:1 ბრიუნე (50), 3:1 საკიკი (60)

**მინესოტა 1:2 დალასი**

*0:0 0:1 1:0 0:0 (0:1 ბულიტები)*

0:1 ჰაგმანი (30), 1:1 კოივუ (54)

**ედმონტონი 0:4 კალგარი**

*0:1 0:2 0:1*

0:1 ლომბარდი (16), 0:2 ბოიდი (34), 0:3 ტანგეი (39), 0:4 ფანეფი (44)

**სან ხოსე 0:1 სენტ ლუისი**

*0:0 0:1 0:0*

0:1 გერინი (39)

**ლოს ანჯელესი 2:3 ფინიქსი**

*2:1 0:0 0:2*

1:0 ფროლოვი (3), 2:0 კოპიტარი (6), 2:1 გრეტონი (19), 2:2 ნადი (54), 2:3 რომში (59)

## მსოფლიოს თასი

# უცნობი ფრანგი

## ალფანმა აფრიკიდან დალცინი დაინახა



პიერ-ემანუელ დალცინი

AFP ვალ დი ზერიდან

**გასულ უქმეებზე** ფრანგულ ვალ დიზერსა და იტალიურ კორტინა დამპეცოში მთის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპები გაიმართა.

უჩვეულოდ თბილი ზამთარი, უთოვლობა, მოულოდნელად მოვარდნილი ქარიშხალი — ეს ყველაფერი მოთხილამურეთა საწინააღმდეგოდ კი მოქმედებს, მაგრამ საფრანგეთშიც და იტალიაშიც ორგანიზატორებმა ყველაფერი იღონეს და ავად თუ კარგად ეტაპები სრულად ჩატარდა.

დოლომიტის ალპებში მდებარე კორტინა დამპეცოში ქალებმა პარასკევს სუპერგიგანტი ჩაისრიალეს და შაბათს კი სწრაფდაშვება. ყველაზე უკეთ ვეტერანი ავსტრიელი რენატე გიოტჩლი და ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონი ჯულია მანკუზო გაისარჯნენ.

მანკუზომ სუპერგიგანტში აჯობა ყველას და სეზონში მესამე გამარჯვება მოიპოვა, თანაც სულ სხვადასხვა სახეობებში — დეკემბერში სწრაფდაშვებაში იმარჯვა, ამ ცოტა ხნის წინათ სუპერკომბინაციაში და ახლა სუპერგიგანტშიც დაამტკიცა თავისი ოსტატობა. მეორე დღეს მანკუზო უკვე მეორე იყო გიოტჩლის შემდეგ, ვინც თავის მხრივ, წინა დღეს მესამე ადგილზე გავიდა.

კორტინა დამპეცო გიოტჩლის საყვარელი ადგილია, სადაც მან უკვე 10 გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს თასის ეტაპებზე და ეს ერთგვარი რეკორდი გახლავთ.

ვალ დიზერში კი სრულიად მოულოდნელად და მასპინძლების გასახარად, იქაურ ურთულეს სწრაფდაშვების ტრასაზე ყველაზე სწრაფად 29 წლის თითქმის უცნობმა ფრანგმა პიერ-ემანუელ დალცინმა ჩაიქროლა და კარიერაში პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა.

დალცინს აქამდე ერთადერთხელ შეედგა ფეხი მსოფლიოს თასის ეტაპის პოდიუმზე — 2004 წელს გარმიშ-პარტენკირხენში სუპერგიგანტში მეორე ადგილი დაიკავა და აი, მშობლიური ქომაგების თვალწინ სენსაციური გამარჯვება მოიპოვა.

ისიც სათქმელია, რომ ბოლო ფრანგი, ვისაც სწრაფდაშვება მოეგო, მთის თხილამურების ძველი და რალი-რეიდების ამჟამინდელი ჩემპიონი ლიუკ ალფანია, რომელმაც თანამემამულენი ბოლოს 1995 წელს გაახარა, მერე თხილამურები კედელზე მიაყუდა, მანქანის საჭეს მიუჯდა და შარშან ლეგენდარული „დაკარის რალი" მოიგო.

ალფანი აფრიკულ უგზოობაში წელსაც მაგრად უბერავდა და ამასობაში ფრანგებს თხილამურებშიც გამოუჩნდათ ახალი გმირი.

### კაცები. ვალ დიზერი (საფრანგეთი)

| | |
|---|---|
| **სწრაფდაშვება** | |
| 1. პიერ-ემანუელ დალცინი (საფრანგეთი) | 1წთ.56,37 წმ. |
| 2. ერიკ გუეი (კანადა) | 1.56,63 |
| 3. მანუელ ოსბორნ-პარადისი (კანადა) | 1.56,69 |
| 4. იანიკ ბერტრანი (საფრანგეთი) | 1.56,74 |
| 5. მარიო შაიბერი (ავსტრია) | 1.56,77 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 725 ქულა |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 677 |
| 3. ბოდე მილერი (აშშ) | 640 |
| 4. პეტერ ფილი (იტალია) | 570 |
| 5. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 520 |

### ქალები. კორტინა დამპეცო (იტალია)

| | |
|---|---|
| **სწრაფდაშვება** | |
| 1. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1.31,14 |
| 2. ჯულია მანკუზო (აშშ) | 1.31,31 |
| 3. მარი მარჩანდ-არვიე (საფრანგეთი) | 1.31,74 |
| 4. დანიელა მერიგეტი (იტალია) | 1.31,82 |
| 5. ანია პერსონი (შვედეთი) | 1.31,84 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 881 ქულა |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 828 |
| 3. ჯულია მანკუზო (აშშ) | 714 |
| 4. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 701 |
| 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 578 |

ბიატლონი

## მსოფლიოს თასი. მეექვსე ეტაპი

### პოკლიუკა (სლოვენია). 17-21 იანვარი

# ოლეეე! რა კარგია, რომ არის ოლე

**შეუდარებელი** ოლე ეინარ ბიორნდალენის არყოფნაში, ვინაც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ დასვენება გადაწყვიტა, სლოვენიურ პოკლიუკაში გამართულ მსოფლიოს თასის ეტაპზე გერმანელმა ალექსანდერ ვოლფმა და ავსტრიელმა კრისტოფ ზუმანმა გაილაღეს. პირველმა სპრინტი მოიგო და გამოდევნებით რბოლაში მეორე შედეგი აჩვენა, ხოლო მეორემ სულაც დუბლი შეასრულა — გამოდევნებასა და მასობრივი სტარტით რბოლაში ყველას აჯობა.

სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ მიხაელ გრაისს თავი დიდად არ გამოუჩენია, მაგრამ იმდენი ქულები კი მიითვილა, რომ ბიორნდალენისთვის გადაესწრო საერთო ჩათვლაში. თუმცა, მათ შორის სხვაობა მხოლოდ 10 ქულაა და ნუ დაგვავიწყდება, რომ დიადმა ოლემ ამ სეზონში, უკვე მეორე ეტაპი გამოტოვა.

ქალებში ყველაზე უკეთ შვედი ანა კარინ ოლოფსონი და გერმანელი კატი ვილჰელმი გაისარჯნენ. განსაკუთრებით ვილჰელმი უნდა გამოვყოთ, ვინც დაწინაურდა კიდეც საერთო ჩათვლაში და მცირედით უსწრებს შვედს, რომელმაც სპრინტი კი მოიგო, მაგრამ გამოდევნებასა და მასსტარტში საშინლად ისროდა და პრიზიორებში ვერ მოხვდა.

**გია მუჯირი**

### ქალები

| | |
|---|---|
| **10 კმ გამოდევნებით რბოლა (4 სასროლეთი)** | |
| 1. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 35 წთ.05,7 წმ. (1 აცდენა) |
| 2. ტატიანა მოისეევა (რუსეთი) | +51,5 (2) |
| 3. ნატალია სოკოლოვა (ბელარუსი) | +58,2 (2) |
| 4. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | +1.31,7 (3) |
| 5. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | +1.36,7 (5) |
| **12,5 კმ მასსტარტი. (4 სასროლეთი)** | |
| 1. ოქსანა ხვოსტენკო (უკრაინა) | 41 წთ.55,9 წმ. (0 აცდენა) |
| 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) | +13,4 (3) |
| 3. ტედეია ბრანკოვიჩი (სლოვენია) | +23,5 (2) |
| 4. ნატალია სოკოლოვა (ბელარუსი) | +39,2 (4) |
| 5. ტატიანა მოისეევა (რუსეთი) | +47,6 (1) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 506 ქულა |
| 2. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 503 |
| 3. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 419 |
| 4. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 395 |
| 5. სანდრინ ბეილი (საფრანგეთი) | 321 |

### კაცები

| | |
|---|---|
| **12,5 კმ გამოდევნებით რბოლა (4 სასროლეთი)** | |
| 1. კრისტოფ ზუმანი (ავსტრია) | 34 წთ.25,9 წმ. (1 აცდენა) |
| 2. ალექსანდერ ვოლფი (გერმანია) | +15,7 (2) |
| 3. ვინსენ დეფრანი (საფრანგეთი) | +27,6 (2) |
| 4. დანიელ მესოტიხი (ავსტრია) | +37,4 (0) |
| 5. სერგეი როჟკოვი (რუსეთი) | +38,3 (0) |
| **15 კმ მასსტარტი (4 სასროლეთი)** | |
| 1. კრისტოფ ზუმანი (ავსტრია) | 38წთ.24,1წმ. (0 აცდენა) |
| 2. ვინსენ დეფრანი (საფრანგეთი) | +28,1 (0) |
| 3. ანდრეას ბირნბახერი (გერმანია) | +49,3 (1) |
| 4. მიხაელ რიოში (გერმანია) | +54,7 (0) |
| 5. ფროდე ანდერსენი (ნორვეგია) | +58,0 (2) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 398 ქულა |
| 2. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 388 |
| 3. ბიორნ ფერი (შვედეთი) | 372 |
| 4. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 365 |
| 5. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 362 |

სნოუბორდი

## მსოფლიოს ჩემპიონატი

### აროსა (შვეიცარია). 14-20 იანვარი



AFP აროსადან

# ორმაგი კრეპელი

**შვეიცარიულ** აროსაში თოვლზე დაფით მოსრიალეთა, მოხტუნავეთა თუ აკრობატთა მსოფლიოს ჩემპიონატი მეტიუ კრეპელის ტრიუმფით დასრულდა. ამ ფრანგმა ჯეელმა ჯერ იყო და ტრამპლინიდან აკრობატულ ხტომებში აჯობა ყველას, ხოლო შემდეგ ჰაფპაიფშიც, ანუ დახრილ ღარსა თუ შუაზე გადაჭრილ დიდ მილშიც ყველაზე უკეთ შეასრულა ურთულესი მალაყები. არადა, ტურინის ოლიმპიადაზე კრეპელი ამ ღარში მხოლოდ მე-17 იყო.

**კაცები**

**ბიგ-ეარი (ტრამპლინი)** 1. მეტიუ კრეპელი (საფრანგეთი) 2. ანტი აუტი (ფინეთი) 3. იანე კორპი (ფი ნეთი)

**ჰაფპაიფი** 1. მეტიუ კრეპელი (საფრანგეთი) 2. კაზუჰირო კოკუბო (იაპონია) 3. ბრედ მარტინი (კანადა)

**ქალები**

**ჰაფპაიფი** 1. მანუელა ლაურა პესკო (შვეიცარია) 2. სოკო იამაოკა (იაპონია) 3. პაულინა ლიგოსკა (პოლონეთი)

# ჯერ კომა, მერე სიკვდილი

## 29-ე რალიმ დაკარგა ორი სიცოცხლე წაიღო



სამწუხაროდ, ვერც ამჯერად გადარჩა უმსხვერპლოდ „დაკარის“ უკვე რიგით 29-ე სუპერმარათონი. ამ ყველაზე პრესტიჟული რალი-რეიდის ორგანიზმა საწყალუბელმა წლეულს ორი მოტომრბოლი შეიწირა.

ჯერ იყო და, მეოთხე ეტაპზე თავის მოტორაშიდან გადმოვარდა და ადგილზევე დალია სული სამხრეთაფრიკელმა ახალბედა ელმერ სიმონსმა, ხოლო შაბათს, ბოლოსწინა მონაკვეთზე ჯირითისას, გულმა უმტყუნა ფრანგ ერიკ ობიჟუს, ვისთვისაც ეს უკვე მეექვსე „დაკარი“ იყო.

იმასაც ვიტყვით, რომ ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს შარშანდელი ტრიუმფატორი და წლევანდელი კლასიფიკაციის ლიდერი მარკ კომა. მალის სავანაში ჯირითისას ესპანელი ხეს შეეჯახა და თავის უმძიმესი ტრავმა მიიღო. ლამის კომაში მყოფი კომა ვერტმფრენით ჰოსპიტალში გააქანეს, სადაც, საბედნიეროდ, მალე მოვიდა გონს და მეორე დღეს კლინიკა დატოვა.

რვაათასკილომეტრიანი „ლისაბონ-დაკარის“ ფინიში გუშინ ტრადიციულ ადგილზე, სენეგალის დედაქალაქ დაკარის მახლობლად, „ვარდისფერი ტბის“ პირას შედგა.

მოტომრბოლთა შორის პირველობა მოიპოვა შარშანწინდელმა ტრიუმფატორმა, ფრანგმა სირილ დეპრემ (KTM). მსუბუქი ავტომობილების კატეგორიაში ზედიზედ მესამე ეტაპის მოგების მიუხედავად, კლასიკურ რალიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი კარლოს საინსი („ფოლკსვაგენი“) გენერალურ კლასიფიკაციაში მხოლოდ მეცხრე პოზიციაზე დარჩა, გამარჯვება კი ფრანგების — პეტერანსელისა და კოტრეს „მიცუბისიმ“ იზეიმა.

სატვირთო ავტოების ჩათვლაში პირველობა არავის დაუთმო MAN-ის ჰოლანდიურმა ეკიპაჟმა სტეისის, გოტლიბისა და დერ კინდერენის შემადგენლობით. ნიდერლანდელთა სამეული მეხუთე ეტაპზე ლიდერ-ფავორიტ რუსის, ვლადიმირ ჩაგინის „კამაზის“ საშინელი ავარიის შემდეგ გალიდერდა და მეწინავეობა ბოლომდე შეინარჩუნა.



AFP ფოტო

სტეფან პეტერანსელმა „დაკარი“ მეცხრედ მოიგო

### ლისაბონი-დაკარი 2007

**საბოლოო ვითარება**

| | |
|---|---|
| **მოტოციკლები** | |
| სირილ დეპრე (საფრანგეთი, „გალუაზ KTM“) | 51სთ; 36,53წთ |
| დავიდ კასტო (საფრანგეთი, „გალუაზ KTM“) | ჩამორჩა 34,19 |
| კრის ბლეისი (აშშ, „რედ ბულ KTM“) | 52,06 |
| **ავტომობილები** | |
| სტეფან პეტერანსელი (საფრანგეთი, „მიცუბისი“) | 45სთ; 53,37წთ |
| ლუკ ალფანი (საფრანგეთი, „მიცუბისი“) | ჩამორჩა 7,26 |
| ჟან-ლუი შლესერი (საფრანგეთი, „შლესერ-ფორდი“) | 1სთ; 33,57 |
| **სატვირთო მანქანები** | |
| ჰანს სტეისი (ჰოლანდია, MAN) | 54სთ; 03,05წთ |
| ილგიზარ მარდეევი (რუსეთი, „კამაზი“) | ჩამორჩა 3; 10,52 |
| ალეშ ლოპრაისი (ჩეხეთი, „ტატრა“) | 4; 45,30 |



# ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 12 — 22 იანვარი

**VI ტური**

| | | |
|---|---|---|
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | დავიდ ნავარა (ჩეხეთი) |
| ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია) |
| სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 1:0 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |
| **VII ტური** | | |
| სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) |
| რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 0:1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0:1 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) |
| დავიდ ნავარა (ჩეხეთი) | 1:0 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) |



ვესელინ ტოპალოვი

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | თეიმურ რაჯაბოვი | 5,5 | 8. | დავიდ ნავარა | 4,0 |
| 2. | ვესელინ ტოპალოვი | 5,0 | 9. | რუსლან პონომარიოვი | 3,0 |
| 3. | ვლადიმირ კრამნიკი | 4,5 | 10. | ალექსანდრ მოტილევი | 3,0 |
| 4. | პიოტრ სვიდლერი | 4,0 | 11. | ლუკ ვან ველი | 2,5 |
| 5. | სერგეი კარიაკინი | 4,0 | 12. | სერგეი ტივიაკოვი | 2,5 |
| 6. | ვიშვანათან ანანდი | 4,0 | 13. | მაგნუს კარლსენი | 2,0 |
| 7. | ლევონ არონიანი | 4,0 | 14. | ალექსეი შიროვი | 1,0 |

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 16:45 | 1 | უოტფორდი-ბლექბერნი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 2 | პლიმუთი-ქოვენთრი | 2.05 | 3.20 | 3.50 | 1.24 | 1.29 | 1.67 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 13 | შრიუსბერი-რექსემი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 25 | კიდერმინსტერი-სტ.რეინჯერსი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 23:45 | 27 | ქროული-გრეივსენდი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 23:45 | 29 | ფორესტ გრინი-ალდერშოტი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 23:45 | 30 | გრეისი-დაგ ენდ რედი | 2.75 | 3.30 | 2.20 | 1.50 | 1.22 | 1.32 |
| 23:45 | 31 | სტივენეიჯი-სტ.ალბანსი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 23:45 | 32 | უოკინგი-ოქსფორდი | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 23:45 | 34 | ჰალიფაქსი-იორკი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 23:45 | 35 | მორეკომბი-საუთპორტი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 23:45 | 36 | რამდენი -კემბრიჯი | 1.95 | 3.40 | 3.30 | 1.23 | 1.22 | 1.67 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 23:15 | 83 | ჰანზა-ფრაიბურგი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 107 | მოდენა-არეცო | 1.90 | 2.80 | 4.20 | 1.13 | 1.30 | 1.67 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 128 | ტარანტო-სამბენედეტეზე | 1.65 | 2.80 | 6.50 | 1.03 | 1.31 | 1.95 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 163 | მარსელი-ოსერი | 1.65 | 3.10 | 5.50 | 1.07 | 1.26 | 1.98 |
| 21:00 | 165 | ლილი-პსჟ | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 23:30 | 167 | სოშო-სედანი | 1.55 | 3.30 | 6.00 | 1.05 | 1.23 | 2.12 |
| 23:30 | 169 | ვალენსიენი-ლე მანი | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 23:30 | 170 | მონაკო-რენი | 1.85 | 3.10 | 4.30 | 1.15 | 1.29 | 1.80 |
| 23:30 | 171 | ლორიანი-ლანსი | 2.70 | 2.90 | 2.55 | 1.39 | 1.31 | 1.35 |
| 23:30 | 172 | ნიცა-ტულუზი | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 23:30 | 173 | ტრუა-ნანტი | 2.35 | 2.90 | 2.95 | 1.29 | 1.30 | 1.46 |
| 23:30 | 174 | ლიონი-ბორდო | 1.35 | 4.10 | 8.00 | 1.01 | 1.15 | 2.71 |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 176 | ნანსი-სტ.ეტიენი | 2.05 | 2.90 | 3.60 | 1.20 | 1.30 | 1.60 |
| | | **ინგლისი. Carling Cup** | | | | | | |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 296 | ჩელსი-უიკომბი | 1.10 | 6.50 | 18.00 | 1.00 | 1.03 | 4.77 |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 297 | ტოტენჰემი-არსენალი | 2.45 | 3.30 | 2.55 | 1.40 | 1.24 | 1.43 |
| | | **ინგლისი. FA Cup** | | | | | | |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 494 | ლუტონი-ქპრ | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **ინგლისი LDV Vans Trophy** | | | | | | |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 311 | ბრისტოლი-ბრაიტონი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 23:45 | 493 | შრიუსბერი-როვერსი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ათასი ქება დელ ხუთასს
## დაეწიე და გაასწარი მამაჩემს




**ალესანდრო დელ პიერომ** შაბათს „იუვენტუსის“ მაისურით მე-500 მატჩი ჩაატარა და ეს იუბილე მშვენივრად აღნიშნა. „ბებერი ქალბატონის“ კაპიტანმა ერთი გოლი შეაგდო, ორჯერ კი ლამაზი პასით თანაგუნდელებს გაატანინა. „ბარისთან“ შეხვედრა იმითაც იყო გამორჩეული, რომ ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციის მერე ტურინელებს ვეტერანი ჩეხი პაველ ნედვედი დაუბრუნდათ, ვინც დუბლით გამოირჩა. ახლა დიდიე დეშანის შეგირდები სერია B-ს ერთპიროვნულად ლიდერობენ.

მატჩის დასაწყისი „იუვეს“ კარგს არაფერს უქადდა. პირველივე წუთზე ტურინელთა დაცვა ჩვეულად ჩაიჭრა, რასაც სანტორუვოს ცოტა კომიკური გოლი მოჰყვა. თუმცა „ბიანკონერიმ“ პირველ ტაიმშივე შემოაბრუნა მატჩი. დელ პიერომ ფლანგზე იაქტიურა და გამოზომილი პასით დავიდ ტრეზეგეს კოხტა გოლი გაატანინა. 45-ე წუთზე კი ნედვედმა გარღვევა ზუსტი დარტყმით დაასრულა.

მეორე ნახევარში დეშანის გუნდის უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო. დელ პიერომ მარკო მარკიონის გადაცემით შეაგდო. ცოტა ხანში კი ლამაზი პასით ნედვედს გაატანინა. 89-ე წუთზე მასპინძელთა დაცვა ისევ შეცდა, რასაც გერვასონის თავური მოჰყვა და 4:2.

„ეს რეკორდი არ არის, მაგრამ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა. ახლა „იუვენტუსის“ დიდ ისტორიაში ამ მაჩვენებლით მხოლოდ ორი, თან ლეგენდარული ფეხბურთელი მისწრებს — ფურინო და გაეტანო შირეა. ძალიან ვამაყობ და მიხარია, რომ „ბარისთან“ გოლის გატანაც შევძელი. ვცდილობ, სერია B-ს თავგადასავლიდან სიამოვნება მივიღო, მაგრამ ეს ყოველთვის ადვილი არ არის. „იუვეს“ მაისურით მოგებული მრავალი ტიტულიც მახსოვს და ჩემი პირველი მატჩიც. ეს 1993 წლის სექტემბერში იყო, „ფოჯასთან“ შეხვედრაში სულ რამდენიმე წუთი ვითამაშე“ — თქვა დელ პიერომ.

შეგახსენებთ, რომ ტურინელთა ვეტერანი კაპიტანი „იუვენტუსის“ სერია B-ში დაქვეითების შემდეგ პირველი იყო, ვინც თქვა, გუნდში ვრჩებიო. „ბარისთან“ მატჩის წინ კი ხელმძღვანელობამ მას საჩუქარი მიართვა — ავტომობილი ნომრით ALE 500. მის მაისურზე კი „ბებერი ქალბატონის“ ლოგოს ქვეშ 500 ეწერა.

„გოლის გარდა, ალექსი სხვებისთვისაც სამაგალითო იყო. იგი მშვენივრად მოძრაობდა და საოცარ რაღაცებს აკეთებდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ფანებისგან მას მხოლოდ იმ ერთგულებისთვის ეკუთვნის ტაში, რომელსაც დელ პიერო „იუვენტუსისადმი“ ყოველთვის იჩენდა. იგი ყველა ბურთისთვის იბრძვის და ძალიან მიხარია, როცა ვუყურებ, როგორ სიამოვნებს მას თამაში. ალექსმა ბრწყინვალედ აღნიშნა თავისი მე-500 მატჩი. როცა იგი, დავიდ ტრეზეგე, პაველ ნედვედი და მაურო კამორანეზი თამაშობენ, სულ სხვა გუნდი გვყავს. ახალგაზრდებს მათგან სწავლის და ზრდის საშუალება ეძლევათ. რაც შეეხება დაცვას, ცუდი მდგომარეობა გვაქვს, რომელიც ტრავმირებული ფეხბურთელების გამო გვირთულდება. პირველ წუთზე გაშვებული გოლი ცუდი ნიშანია, მაგრამ დროულად რეაგირება და მატჩის შემობრუნება შევძელით“ — აღნიშნა დეშანმა.

პაველ ნედვედი: „მიხარია, რომ მოვიგეთ და თან ამ მატჩში ჩემი ორი გოლიც დაგვეხმარა. ეს მართლაც მჭირდებოდა. როცა პირველი წუთზევე აგებ, ძალიან ძნელია მატჩის შემობრუნება, მაგრამ ძალიან კარგად ვითამაშეთ. ვულოცავ ალექსს ამ იუბილეს, მხოლოდ იღბლიან, დიდ ფეხბურთელებს შეუძლიათ ასეთი რამის მიღწევა, იგი ამას იმსახურებს. დელ პიერომ თავისი მე-500 მატჩი ბრწყინვალედ აღნიშნა, ორი საგოლე პასი გააკეთა და ერთი თავად გაიტანა. განსაკუთრებით იმ ჩინებულ მომენტს გამოვარჩევ, როცა „ბარის“ მცველს ბურთი ფეხებშუა გაუტარა და მე მომაწოდა. არ მეგონა, ბურთს თუ დავეწეოდი, მაგრამ...“

და ბოლოს, როგორც დელ პიერომ აღნიშნა, „იუვეს“ მაისურით ჩატარებული მატჩების რაოდენობით მას მხოლოდ ორი ფეხბურთელი უსწრებს — ბეპე ფურინო (528) და გაეტანო შირეა (552).

ბეპე ფურინო: „დელ პიერო საოცარი ფეხბურთელია, რომელიც ბრწყინვალედ შეერწყა „იუვენტუსს“ და მის ხასიათს. ყველა წარმატებას დამსახურებულად მიაღწია. ალექსი ამ სეზონში ფიზიკურად ვერ დამეწევა მატჩების რაოდენობით, მაგრამ მთელი გულით ვუსურვებ მას, რომ მომავალ სეზონში გადამასწროს.“

„მამაჩემის გასწრება ძნელი იქნება, მაგრამ ვფიქრობ, ალექსს ეს შეუძლია. ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ ამ განსაკუთრებულ ადამიანსა და ფეხბურთელს“ — თქვა გაეტანო შირეას ვაჟმა რიკარდომ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ცხრა წლის მერე ბილი კარლოს სკამზე დაჯდება



**ბილი კოსტაკურტა** მომავალს ჭვრეტს და არ გამორიცხავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს „მილანის“ სათადარიგოთა სკამზე იმ ადგილას ჩამოჯდება, რომელზეც დღეს კარლო ანჩელოტი ზის.

„ცხრა წლის შემდეგ სიამოვნებით გავხდებოდი „მილანის“ მწვრთნელი — უთხრა ვეტერანმა „რაი დუეს“ პროგრამა „დრიბლინგს“ — მანამდე კი საინტერესო ცხრა წალიწადი უნდა გავატარო. რატომ ცხრა წლის შემდეგ? იმიტომ, რომ მანამდე პრობლემებს შევუქმნი ერთ ისეთ ადამიანს, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობები მაქვს: ანჩელოტის ვგულისხმობ“.

საინტერესოა, რომ როგორც პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის, ასევე ტრანსფერთა გურუს ადრიანო გალიანის მრავალჯერ უთქვამთ, რომ „მილანის“ მომავალი მწვრთნელი აუცილებლად იქნება ერთ-ერთი იმათგანი, ვინც გუნდის წარსულში მონაწილეობდა. ახლა, გავიხსენოთ იმ მწვრთნელთა ვინაობა, რომელთაც ბოლო წლებში „შავ-წითლებს“ წარმატებები მოუპოვეს — ფაბიო კაპელოცა და კარლო ანჩელოტიც ორივე ყოფილი მილანელია. და ვინ იქნება მომავალში? ყოველ შემთხვევაში, პაოლო მალდინის ნათქვამი აქვს, რომ მას მწვრთნელობა არ ხიბლავს, კოსტაკურტა კი, წესითა და რიგით, ჩინებული კანდიდატი უნდა იყოს.

ბილი, ოფიციალურად კი ალესანდრო კოსტაკურტა აპრილში 41-ისა გახდება და მართალია, დაცვაში ისევ მაგრად დგას, მაგრამ კარიერის დასასრული ახლოს რომ აქვს, ფაქტია.

და ბოლოს, კოსტაკურტა „კალჩოპოლის“ შესახებ: „მკაცრმა სასჯელმა გამაკვირვა, არადა, იმაში, რაც დამტკიცდა, სერიოზულსა და განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ“.

**პაპუნა ძიძია**

# ბოლო ფასი მიუნხენისთვის

**20 მილიონი** გირვანქა: ასეთია ბოლო ფასი, რომელსაც „მანჩესტერი“ „ბაიერნს“ სთავაზობს ოუენ ჰარგრივსის სანაცვლოდ.

ეს 3 მილიონით მეტია წინა შეთავაზებაზე და ახლა ჯერი „ბაიერნის“ უფროსობაზეა.

ალექს ფერგიუსონმა თქვა, რომ ჰარგრივსი №1 სამიზნეა მისთვის.

თავად ფეხბურთელმა განაცხადა, რომ სურს „მანჩესტერში“ გადასვლა: „ეს ძალიან ნიჭიერი გუნდია. ევროპის საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავს ბევრ პოზიციაზე. ამიტომ შემოთავაზება სასიამოვნოა“.

ჰარგრივსი თავის პირველ ვარჯიშზე უკვე გავიდა: სექტემბერში მოტეხილი ფეხი ახლაღა მოუშუშდა.



# არ შეცვლი? სულელი ხარ!




**საფრანგეთის** ჩემპიონი „ლიონი“ ჩეხ მილან ბაროშის ყიდვასთან ძალიან ახლოსაა. ამის შესახებ საზოგადოებას მწვრთნელმა ჟერარ ულიემ აცნობა. საფრანგეთის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ყოფილი თავკაცის განცხადებით, კლუბსა და ფეხბურთელის აგენტს შორის მოლაპარაკებები აშკარა პროგრესს განიცდის.

შეგახსენებთ, რომ ულიეს ბაროში ერთხელ უკვე ჰყავს ნაყიდი. ეს მაშინდელი ამბავია, როდესაც ის „ლივერპულის“ მწვრთნელი იყო, თუმცა ერთი ხნის წინ „ასტონ ვილას“ ფორვარდმა ყოფილ დამრიგებელთან „ლიონში“ გადასვლაზე უარი განაცხადა, რითაც იგი ფრიად გააბრაზა. ულიემ მაშინ განაცხადა, რომ ბაროშს მისთვის უარის თქმის მეორე შანსს არ მისცემდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არასოდეს უნდა თქვა არასოდეს.

ულიე: „გადაწყვეტილებებს მხოლოდ სულელები არ ცვლიან“.

მიმომხილველები ეჭვობენ, რომ ამჯერად ბაროშმა თავად შეახსენა ულიეს თავი. საქმე ის გახლავთ, რომ იმ დროსთან შედარებით, როდესაც უარი თქვა, ახლა ჩეხი ფორმაში ვერ არის და 20 შეხვედრაში მხოლოდ 2 გოლი აქვს გატანილი.

კი მაგრამ, რად უნდა ულიეს გუნდის გაძლიერება, თუკი საფრანგეთის პირველობის ცხრილში იგი 14 ქულით უსწრებს მდევარს და ზედიზედ მეექვსე ტიტულში შემცილებელი არავინ უჩანს? ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ „ლიონში“ ტრავმიანობაა, თებერვალში კი ჩემპიონთა ლიგის პლეიოფი იწყება.

„ტრავმიანობა გვკარნახობს, რომ ბევრი კარგი ფეხბუთელის ყოლა ზედმეტი არასდროსაა — დასძინა ულიე — სწორედ ამიტომ ავანთე განგაშის ნათურა და ამიტომ ვუშურები ბაროშის ყიდვას. დღეს მომავალზე ფიქრი გვმართებს“.

მოგეხსენებათ, „ლიონს“ ამ კვირაში ნახევარმცველი ალიუ დიარაც დაუშავდა და მისი შემცვლელიც ესაჭიროება.

**პაპუნა ძიძია**

# რაულმა თქვა ყველაფერი, მაგრამ არაფერი

**მადრიდის „რეალში“ რომ დიდი არეულობაა, ეს უკვე არა მარტო „სამეფო გუნდის“ შედეგებით მტკიცდება, არამედ პრეზიდენტ რამონ კალდერონის განცხადებებითაც. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კალდერონმა ცოტა ხნის წინ ფეხბურთელები გამოლანძღა და ძალიან მკაცრი განცხადებები გააკეთა. ამას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა და გასულ ოთხშაბათს საგანგებო შეკრებაც გაიმართა, რომელზეც მოთამაშეები პრეზიდენტს შეხვდნენ. მოგვიანებით ამ ყველაფერზე „რეალის“ კაპიტანმა და სიმბოლომ რაულ გონსალეს ბლანკომ ისაუბრა**



**— რა რეაქცია გქონდათ პრეზიდენტის სიტყვებზე?**

— პრეზიდენტის განცხადებებისა და გუნდში ბოლოდროინდელი დაძაბულობის გამო ყველანი შეშფოთებულნი ვიყავით და სპეციალური შეკრების მოწყობა გადავწყვიტეთ, რათა ყველაფერს ნათელი მოჰფენოდა. თითოეულმა ჩვენგანმა თავისი მოსაზრება გამოთქვა. კალდერონმა მოგვიბოდიშა, ჩვენ კი საკუთარ პრობლემებზე და გულისტკივილზე ვისაუბრეთ. შეხვედრა ძალიან სასარგებლო იყო. კლუბისა და ქომაგებს ერთი სურთ, მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდეს.

**— ასეთი შეკრებები ადრეც იმართებოდა?**

— დიდი ხანია, „რეალში“ ვარ, მაგრამ ასეთი საგანგებო შეკრება არ მახსოვს. მსგავსი ვითარება ყოფილა, მაგრამ სხვა მიზეზებით. ყველა ასეთი ფაქტი დიდ გავლენას ახდენს გუნდზე და უნდა ვეცადოთ მას ზიანი არ მივაყენოთ. მთავარი დადებითი ამ შეხვედრიდან ის იყო, რომ გულახდილად ვისაუბრეთ კლუბის პრობლემებზე და ყველა ნიუანსზე ვიმსჯელეთ. ხელმძღვანელობასა და ფეხბურთელებს შორის ურთიერთობის სრულყოფისთვის კიდევ ბევრი დეტალია შესათანხმებელი, მაგრამ ამას საფუძველი ჩაეყარა. ჩვენი მიზანი ის არის, რომ ტიტულებისთვის ბრძოლა გავაგრძელოთ. ამ სეზონში დარჩენილი თვეების მანძილზე „რეალის“ პრესტიჟისთვის ვითამაშებთ.

**— სთხოვეთ პრეზიდენტს, რომ ამიერიდან ფეხბურთელებზე აღარ ელაპარკა?**

— პრეზიდენტს შეუძლია, მაშინ ილაპარაკოს, როცა მოუნდება. მან არჩევნები დიდი უპირატესობით მოიგო და ნდობაც აქვს, თუმცა ერთმანეთს პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ და ერთი სახის განცხადებები ვაკეთოთ. მისი კომენტარები არაკორექტული და უადგილო იყო, რამაც ვითარება უფრო დაძაბა. როგორც გითხარით, კალდერონმა მოიბოდიშა და თქვა, რომ ეს განცხადებები ცხელ გულზე გააკეთა, სინამდვილეში კი ამ აზრზე არ არის. ჩვენ შეკრული, ერთიანი გუნდი უნდა გვყავდეს.

**— ამ შეხვედრის შედეგად ყველა პრობლემა მოგვარებულია?**

— ბევრი რამ უკვე მოგვარებულია, შეხვედრა უდავოდ ნაყოფიერი იყო. ის ფეხბურთელები, რომლებსაც კონკრეტულად შეეხნენ, უფრო აღელვებულნი იყვნენ, თუმცა გულისტკივილი ყველამ გავინაწილეთ. ასეთი პრობლემები კლუბის შიგნით უნდა მოგვარდეს. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და „რეალის“ პროფესიონალიზმში ეჭვის შეტანა უაზრობაა.

**— თუმც ამ ყველაფერმა ალბათ მაინც დიდი ზიანი მოუტანა გუნდს...**

— ჩვენ ყველაფერზე ვიმსჯელეთ. განცხადებების ფორმა სხვაგვარი უნდა იყოს, რათა გუნდი არ დაზარალდეს. ყველანი ვეცდებით, ვითარება მალე გამოვასწოროთ.

**— თვლით, რომ პრეზიდენტი უნდა დაისაჯოს?**

— ჩვენ მას დიდ პატივს ვცემთ და ვენდობით. პრეზიდენტმა უკვე მოიბოდიშა.

**— ვინმემ უთხრა პრეზიდენტს, რომ მომავალში ხელები ფეხბურთელებზე აღარ შეიწმინდოს და ყველაფერი თქვენ არ გადმოგაბრალოთ?**

— გარკვეულ დეტალებში მას არ ვეთანხმებოდით, თან თავი ცოტა დაუცველადაც ვიგრძენით და ეს შეკრებაც ამიტომ ვითხოვეთ, გვაინტერესებდა სხვა ხელმძღვანელებისა და სპორტული დირექტორის აზრიც. მწვავე ფრაზებსა და ულტიმატუმებს ადგილი არ ჰქონია. რაზეც ვილაპარაკეთ, კლუბის გარეთ არ უნდა გავიდეს.

**— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „რეალში“ ყოველდღე რაღაც ექსტრაორდინარული ხდება.**

— ჩვენ ეს ძალიან გვაწუხებს და ყველამ ერთად უნდა ვცადოთ ვითარების გამოსწორება. ასეთი რაღაცეები „რეალის“ ისტორიისა და ტრადიციების მქონე გუნდს არ შეშვენის, ერთმანეთის პატივისცემაა საჭირო. „ბეტისთან“ რაც შევძელით, გავაკეთეთ, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ და ძალიან გული დაგვწყდა, რომ ესპანეთის თასს გამოვეთიშეთ. თუმცა პრიმერადივიზიონში და ჩემპიონთა ლიგაზე საქმე ნორმალურად მიდის და მიუხედავად დაძაბულობისა, უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ.

**— შეკრებაზე დევიდ ბექემთან დაკავშირებითაც ისაუბრეთ?**

— ცოტ-ცოტა ყველაფერზე ვისაუბრეთ, მათ შორის ბექემზეც. დევიდი ნამდვილი პროფესიონალია. რაღაც გადაწყვეტილებამდეც მივედით. დღეს გუნდში რამდენიმე ფეხბურთელია, რომლებსაც განსაკუთრებული პრობლემები აქვთ, თუმცა ამაზე საუბარი ახლა უადგილოა. ეს ყველაფერი კლუბის შიგნით უნდა მოგვარდეს.

**— თქვენი აზრით, ფაბიო კაპელო თავისი მოულოდნელი გადაწყვეტილებებით ეხმარება კლუბს თუ პრობლემების კარგად გააზრებას ურჩევთ მას?**

— ინტუიცია გვკარნახობს, რომ ზოგიერთ გადაწყვეტილებაზე მსჯელობა კიდევ შეიძლება და არც რაღაც-რაღაცების შეცვლა იქნება ურიგო. ყველამ უნდა ვიფიქროთ ჩვენს საქმეზე, რაც გუნდს ამ რთული ვითარების დაძლევაში დაეხმარება. შესაძლოა, მე ჩემი მოსაზრებები მქონდეს, მაგრამ ვინ ითამაშებს და ვინ არა, ამას მწვრთნელი წყვეტს.

**— კაპელოს გადაწყვეტილებები გუნდის ერთიანობაში ბზარს აჩენს?**

— ვიმეორებ, ზოგიერთი გადაწყვეტილება შეიძლება საკამათოა, მაგრამ კაპელო თავის საქმეს აკეთებს. კლუბისთვის უკეთესი იქნება, თუ ყველაფერი იანვრის სატრანსფერო სეზონის ბოლომდე გაირკვევა და გვეცოდინება, ვინ დარჩება გუნდში და ვინ წავა.

**— რას იტყვით კალდერონის განცხადებაზე გუტის შესახებ?**

— ეს არავის გვესიამოვნა, გუტი „რეალის“ აღზრდილია და მან დაამტკიცა, რომ ჩინებული ფეხბურთელია. იგი ასეთ კრიტიკას არ იმსახურებდა და თუ პრეზიდენტი თვლის, რომ მასთან სალაპარაკო აქვს, ეს ცალკე უნდა გააკეთოს. გუტი „რეალისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა და იმედია, მალე ბოლომდე მწყობრში ჩადგება.

**— მართალია, რომ ერთ-ერთმა ფეხბურთელმა შეკრებაზე განაცხადა — პრეზიდენტისადმი ყოველგვარი პატივისცემა დავკარგეო?**

— ასეთი რამ მე ნამდვილად არ მითქვამს და არც გამიგია. ყველანი დამნაშავეები ვართ, რომ ასეთი ვითარება შეიქმნა. კონკრეტულად ფეხბურთელებს შეგვეძლო, ბევრად მეტი გაგვეკეთებინა და ვცდილობდით კიდეც, მაგრამ ერთიანობა გვაკლია. ბევრი უნდა ვივარჯიშოთ და გავაანალიზოთ, თუ რატომ იქმნება ესა თუ ის პრობლემა. მჯერა, სირთულეებს დავძლევთ და ვეცდებით, მალე ყველამ ძველი „რეალი“ იხილოს, რომლითაც ხელმძღვანელებიც იამაყებენ და ქომაგებიც.

# ტალახი მომენატრა!

## კიუელმა სირბილით ტვირთი მოიშორა




**ჰარი კიუელი** იმედოვნებს, რომ თებერვალში, როდესაც ჩემპიონთა ლიგის, კერძოდ კი, „ლივერპულის“ ბარსელონაში, „კამპ ნოუზე“ ჩასვლის დრო დადგება, თამაშს შეძლებს. შეხვედრა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, 21 თებერვალსაა დანიშნული და ვინ იცის, შემობრუნების წერტილად იქცეს ავსტრალიელისთვის, რომელსაც ტრავმებმა კინაღამ კარიერა დაამთავრებინეს.

„ახლახან სირბილი დავიწყე, ეს კი ის არის, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ არ გამიკეთებია — განაცხადა გარემარბმა ერთ-ერთ ინგლისურ გამოცემასთან საუბარში — თავი ბედნიერ ადამიანად ვიგრძენი. სირბილის დაწყება ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, მან დიდი ფსიქოლოგიური ტვირთი მომაშორა“.

კიუელმა მუხლის ოპერაცია სიდნეიში გაიკეთა და ინგლისში ნოემბერშიღა დაბრუნდა. ოპერაციისშემდგომმა სარეაბილიტაციო პროცესმა კარგად ჩაიარა და ახლა ლივერპულელი ამბობს, რომ ავადმყოფობის აუტანელი შეგრძნება ნელ-ნელ მოახლოვებული თამაშის შეგრძნებით ეცვლება.

„სასოწარკვეთილება გარდატყდა და „ლივერპულს“ დავუბრუნდი. ვიცი, რომ მოედანზე დაბრუნებასთან გაცილებით ახლოს ვარ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ, შესაძლოა, მოვლენები მე რომ მინდა, ისე სწრაფადაც არ განვითარდეს. საშინელი შეგრძნებაა, როდესაც ხედავ, როგორ თამაშობენ ბიჭები, შენ კი ამაში ვერ მონაწილეობ. ახლა იმედი მაქვს, რომ ნამდვილ მზადყოფნასთან სულ სამი ან ოთხი კვირა მაშორებს. ჩემს მდგომარეობას ლივერპულელი ექიმები და ის სპეციალისტები აკვირდებიან, რომელთაც ოპერაცია გამიკეთეს. მათ სირბილის ნება დამრთეს და შედეგით კმაყოფილნი დარჩნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მე უფრო მეტი შემართებით უნდა შევუდგე საქმეს, ხოლო თამაშს როდის დავიწყებ, ამას, ბუნებრივია, მწვრთნელი გადაწყვეტს. ინგლისში ნოემბერში დავბრუნდი და რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად მიჭირდა. არადა, ბიჭები დიდებულად მექცეოდნენ. ისინი სულ მეკითხებოდნენ, როდის დავბრუნდებოდი და თავს მათი გუნდის სრულყოფილ წევრად მაგრძნობინებდნენ, მაგრამ ხომ იცით, ფეხბურთელი თავს გუნდის წევრად მანამ ვერ იგრძნობს, სანამ მაისურა ტალახში არ ამოეთხვრება“.

**ბაჩუნა ბედია**

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XXIV ტური

**სიტი 0:3 ბლექბერნი**

0:1, 0:2 პედერსენი (44, 62), 0:3 დერბიშირი (90)
**სიტი:** ვაიერი, რიჩარდსი, დანი, დისტინი, ტრაბელსი (მილერი 75), სინკლერი (ბისლი 46), აირლანდი, დაბო, ჯორდანი, ვასელი, კორადი (სამარასი 46)
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
**ბლექბერნი:** ფრიდელი, ოიერი (ემერტონი 35), ანშო, ხიზანიშვილი, მაკვილი, ბენტლი, თუგაი (გალაჰერი 84), სევიჯი, პედერსენი, ნონდა (დერბიშირი 78), მაკარი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ანშო, ემერტონი, მაკვილი
მსაჯი: დოუდი
36 590 მაყურებელი

**ფულემი 1:1 ტოტენჰემი**

1:0 მონტელა (84პ), 1:1 ჩიმბონდა (88)
**ფულემი:** ლაშტუვკა, როსენიორი, კრისტენვალი, ბოკანეგრა, პირსი, კედროუ, ვოლცი (დემპსი 81), ბრაუნი, რაძინსკი (მონტელა 71), მაკბრაიდი, ჰელგიუსონი
მწვრთნელი: კრის კოულმენი
**ტოტენჰემი:** რობინსონი, ჩიმბონდა, დოუსონი, გარდნერი, ლი, გალი (ლენონი 61), ტაინიო (ზოკორა 27), ჰადლსტოუნი, მალბრანკი, დეფო (კინი 67), ბერბატოვი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: მალბრანკი, დოუსონი
გაძევება: ჰელგიუსონი (53)
მსაჯი: დინი
23 580 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:2 ვესტ ჰემი**

0:1 კოული (18), 0:2 ჰერვუდი (22), 1:2 მილნერი (45), 2:2 სოლანო (53პ)
**ნიუკასლი:** გივენი (ჰარპერი 67), სოლანო, რემეიჯი (ედგარი 30), ჰანტინგტონი, კარი, მილნერი, ბათი, პარკერი, ობრაიენი, დაიერი
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
**ვესტ ჰემი:** კეროლი, დეილი, ფერდინანდი (სპექტორი 86), დევენპორტი, მაკკარტნი, ბენაიუნი, ქვოში, რეო-კოკერი, ბოა მორტე, ჰერვუდი, კოული (ეთერინგტონი 73)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: მარტინსი, მილნერი, დაიერი, კეროლი, ფერდინანდი, დეილი, ჰერვუდი
მსაჯი: რენიე
52 095 მაყურებელი

**პორტსმუთი 0:1 ჩარლტონი**

0:1 ფაიე (79)
**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ჯონსონი, პრიმუსი, კემპბელი, ტრაორე, ლორენი, დევისი (დუალა 53), პედრო მენდეში, ტეილორი, კანუ (მვარუვარი 73), კოული
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
**ჩარლტონი:** კარსონი, სანკოფა, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, ტეტჩერი, რომედალი (კიშიშევი 82), ფაიე (დიავარა 90), ჰოლანდი, ჰიუზი, ტომასი (ჰასელბაინკი 90), მ. ბენტი
მწვრთნელი: ალან პერდიუ
გაფრთხილება: სანკოფა, ფაიე, კარსონი
მსაჯი: კლატენბურგი
19 567 მაყურებელი

**ლივერპული 2:0 ჩელსი**

1:0 კაიტი (4), 2:0 პენანტი (18)
**ლივერპული:** რეინა, ფინანი, კარაგერი, რიისე, აგერი, პენანტი, ჯერარდი, ხაბი ალონსო, აურელიო, კრაუჩი (ბელამი 85), კაიტი (გონსალესი 90)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
**ჩელსი:** ჩეხი, ჯერემი, ფერეირა, ესიენი, კოული, ლამპარდი, ბალაკი, მიკელი (შევჩენკო 73), რობენი (რაიტ-ფილიპსი 21), დროგბა, კალუ
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ფერეირა
მსაჯი: სტაილსი
44 245 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:0 უოტფორდი**

1:0 მაჰონი (86ს.კ.), 2:0 აგბონლაჰორი (90)
**ასტონ ვილა:** სორენსენი, ბერდსლი, მელბერგი, კეჰილი, ბოუმა, დევისი, მაკკანი, ბერი; აგბონლაჰორი, ანხელი (ბერგერი 72), ბაროში (სამუელი 79)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
**უოტფორდი:** ფოსტერი, მარიაპა, მაკაი, შიტუ, სტიუარტი, სმიტი, მაჰონი, ფრენსისი, ბუაზა (პოუელი 70), პრისკინი (ჰენდერსონი 54), ჰოსკინსი (აშიკოდი 80)
მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი
გაფრთხილება: დევისი, მელბერგი
მსაჯი: უოლტონი
35 892 მაყურებელი

**მიდლსბრო 5:1 ბოლტონი**

